პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 151 (10848) | პარასკევი, 28 ივნისი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საწარმოო გეგმების შესრულებას შეუნელებელი ყურადღება

საქართველოს მრეწველობისა და ახალი შენებლობების კოლექტივების მთელი ყურადღება ახლა მიმართულია უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანის — მრეწველობისა და შენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფისათვის შემუშავებული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისაკენ. ამ მხრივ უკვე გაწეულია დიდი ორგანიზაციული მუშაობა, გადადგმულია ახალი ნაბიჯები მრეწველობის ყველა დარგის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მშენებლობის ტემპების დასაჩქარებლად და მიღებულია პირველი სასურველი შედეგები. საერთო პროდუქციის გამოშვების 5 თვის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 104,4 პროცენტით.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული სამშენებლო ობიექტებზეც. გაჩაღდა რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების საწარმოო პოლიგონების მშენებლობა, სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოები აღჭურვა ახალი დანადგარებით, გაძლიერდა მსხვილი სამშენებლო ბლოკებისა და პანელების გამოშვება, მათი მიტანა ობიექტებზე, ხოლო ყოველივე ამის შედეგად . სამშენებლო-სამონტაჟო გეგმები ახლა მთელ რიგ ობიექტებზე უკეთესად, უფრო სწრაფად და მაღალხარისხოვნად სრულდება.

მაგრამ ამ საერთო საწარმოო აღმავლობის ფონზე განსაკუთრებულად იგრძნობა ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელების მოუქნელობა, კოლექტივების დარაზმვის უუნარობა.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის გამართულ მუშაობას, უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წარმატებისათვის. ამ ქარხნის პროდუქცია მთლიანად რესპუბლიკაში რჩება, მაგრამ ქარხანა ვერ ასრულებს პროდუქციის გამოშვების დავალებას, სოფლის მეურნეობის მუშაკებს ვერ აწოდებს სასუქებს ისეთი რაოდენობით, როგორც დაგეგმილია. საკმარისია ითქვას, რომ 5 თვის გეგმა ამ ქარხნის კოლექტივმა მხოლოდ 95 პროცენტით შეასრულა და რესპუბლიკას საგრძნობი რაოდენობით დააკლო სასუქები. დანადგართა გაუმართავობა და ამით გამოწვეული ხშირი შეფერხებები, ტექნოლოგიური დისციპლინის სისუსტე, ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობა — აი, ძირითადად, ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია აზოტოვანი სასუქების ქარხნის ჩამორჩენა. აქვე აღსანიშნავია, რომ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი ამ ქარხანას, ისევე როგორც მეტალურგიულ ქარხანას, ვერ უწევს ჯეროვან დახმარებას საწარმოო საქმიანობის გაუმჯობესებაში.

ჭიათურელ მაღაროელთა მუშაობას, მარგანეცის სასაქონლო მადნის მოპოვების დავალებათა შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისათვის, მეტალურგიაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის, ხარისხოვანი ფოლადების გამოშვებისა და ექსპორტისათვის. ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ხელმძღვანელებმა ვერ მოახერხეს ცალკე მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მუშაობის ისე აწყობა, რომ განვლილ თვეებში საწარმოო დავალებათა შესრულება არ ჩაშლილიყო. მაღაროელთა ხელმძღვანელები ცდილობენ თავი იმით გაიმართლონ, რომ მადნის გამამდიდრებელი ახალი ფაბრიკა, რომელიც კარგა ხნის ამუშავებული უნდა იყოს და რომლის სიმძლავრის გამოყენებას წლევანდელი გეგმა წლის დასაწყისიდანვე ითვალისწინებდა, ჯერაც არ ამუშავებულა. ეს სწორია, მაგრამ მიზეზის ხელზე დახვევას ის სჯობდა, რომ მარგანეცის ტრესტის სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ ხელმძღვანელებს მოეხდინათ თავიანთ საშუალებათა მობილიზაცია, ძალთა მანევრირება და მიეღწიათ გეგმების შესრულებისათვის არა ცალკეული მოწინავე მაღაროების, არამედ მთელი ტრესტის მიერ.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითება იმის შესახებ, რომ მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელების პერიოდში საწარმოთა და მშენებლობათა სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ მიმდინარე საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის, ზოგ საწარმოში და მშენებლობაზე არ შეუსრულებიათ. ხორცისა და რძის მრეწველობის მთელი რიგი საწარმოების, ნოსირის აგურკრამიტის ქარხნის, თბილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის, მთელი რიგი სამშენებლო ობიექტების გაუმართავი მუშაობა და ჩამორჩენა უაღრესად სუბიექტური ხასიათის მიზეზებით, ადგილობრივი სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა სუსტი მუშაობით აიხსნება.

თბილისში საბურთალოზე დაწყებულია მსხვილბლოკებიანი რამდენიმე საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. 3 მაისიდან 8 ივნისამდე, სანამ ეს სამშენებლო ობიექტი მთავართბილმშენის გამგებლობაში გადავიდოდა, სახლების მშენებლობა შეჩერებული იყო იმის გამო, რომ სასარდაფე კედლების ასაყვანად საჭირო რამდენიმე ათეული ცალი სპეციალური მსხვილი ბლოკი მშენებლობაზე არ მიიტანეს, ხოლო ამავე დროს ზემო სართულებისათვის საჭირო ბლოკები სისტემატურად მიჰქონდათ. ობიექტის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ამხ. ნ. სიხარულიძე, მშენებელთა ადგილობრივი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მართვის ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელების მოლოდინში ასეთ მდგომარეობას ურიგდებოდნენ.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოების ხელმძღვანელების, ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციების, საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული, აგრეთვე კომკავშირული მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება კოლექტივების საწარმოო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებზე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩამოყალიბებისა და ადგილობრივი ინიციატივისათვის ფართო გასაქანის მიცემის შედეგად შეიქმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ სულ ახლო მომავალში რესპუბლიკაში არ გვქონდეს არც ერთი ჩამორჩენილი ფაბრიკა. ქარხანა, მაღარო, შახტი, არც ერთი ჩამორჩენილი სამშენებლო ობიექტი.

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 26 ივნისის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება %-ობით		რაიკომის მდივნები, რაიალმასკომის თავმჯდომარეები
	წლიურისა	მაის-ივნისისა	
ბათუმის	44,8	97,0	ხ. ეხადე, ა. ანანიძე
ქობულეთის	40,9	88,2	ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე
ქედის	34,3	74,5	ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე
სულ აჭარაში	41,8	90,4	
გალის	36,2	78,2	დ. გოგოხია, ხ. ტუფარია
ოჩამჩირის	39,5	86,2	ჩ. აბგაჯი, ტ. ხოსელია
გულრიფშის	44,4	96,4	ლ. ელექჩიანი, შ. ბოკერია
სოხუმის	46,2	100,8	გ. ჭაჟია, პ. ცანავა
გუდაუთის	39,2	85,3	დ. ხვარცკია, კ. გერია
სულ აფხაზეთში	38,0	82,5	
მახარაძის	37,7	81,7	შ. ჭანუყვაძე, დ. საბაშვილი
ჩოხატაურის	40,8	88,7	ა. გობრონიძე, გ. მამალაძე
ლანჩხუთის	36,7	79,7	დ. მანწკავა, მ. ვადაჭკორია
სამტრედიის	34,5	75,0	ნ. ფანცულაია, მ. ახათიანი
წულუკიძის	24,2	51,5	ხ. ლეჟავა, მ. აბზიანიძე
ქუთაისის	26,2	57,0	მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე
წყალტუბოს	36,6	79,5	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
ტყიბულის	50,2	68,1	კ. ლომაძე, ი. გოორგობიანი
ცხაკაიას	25,2	53,7	ი. ურუშაძე, დ. ბაღათურია
აბაშის	19,2	41,7	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
გეგეჭკორის	29,2	63,7	კ. ხუბულავა, გ. შეროზია
ზუგდიდის	30,7	66,9	მ. ღვინჯილია, ვ. ესართია
წალენჯიხის	36,5	81,5	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
ჩხოროწყუს	33,1	72,0	მ. ცანავა. შ. ხუნტუა
ხობის	32,1	70,0	ა. წურწუმია, ხ. ნასარაია
თერჯოლის	49,9	107,6	ბ. ხახვიჩიძე, ი. შუღლაძე
ზესტაფონის	28,8	60,7	შ. ბიდაშელი, გ. არეკვაძე
ჭიათურის	37,3	82,8	ბ. აბესაძე, გ. ლომაძე
ვანის	35,0	70,0	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
სულ საქართველოს სხრ-ში	36,0	78,4	

ფეოსაბიშვილური თაობა მოქმედებაში

მცხეთის რაიონი

⊙ სოფელ ძალიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე გ. არჯევანიძე) იკისრა ყოველ 100 ჰექტარ სახოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 1957 წელს მიიღოს 44 ცენტნერი ხორცი, აქედან 24 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და 172 ცენტნერი რძე ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, 1958 წელს — ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 60 ცენტნერი ხორცი, აქედან 29 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და 253 ცენტნერი რძე ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

კოლმეურნეობა იბრძვის იმისათვის, რომ 1960 წლისათვის ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღოს 96 ცენტნერი ხორცი, აქედან 43,6 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ ას ჰექტარ სახნავზე და 382 ცენტნერი რძე ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

⊙ სოფელ წილკნის ხრუშოვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე შ. პაპავაძე) იბრძვის იმისათვის, რომ წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღოს 46 ცენტნერი ხორცი, აქედან 28 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და 268 ცენტნერი რძე ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. 1958 წელს — ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 52 ცენტნერი ხორცი, აქედან 32 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და 362 ცენტნერი რძე ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

კოლმეურნეობის პირობაა 1960 წლისათვის ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღოს 75 ცენტნერი ხორცი, აქედან 40 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და 440 ცენტნერი რძე ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

⊙ სოფელ ერედის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ი. ბეგოიძე) წევრებმა იკისრეს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე წელს მიიღონ 61,7 ცენტნერი ხორცი, აქედან 32 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და 200 ცენტნერი რძე ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, 1958 წელს — ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 83 ცენტნერი ხორცი, აქედან 41 ცენტნერი ღორის ხორცი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და 330 ცენტნერი რძე ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

1960 წლისათვის კოლმეურნეობა ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღებს 107 ცენტნერ ხორცს, აქედან 64 ცენტნერ ღორის ხორცს ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე და 537 ცენტნერ რძეს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

ვადამდე შესრულებულია რძის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა მთლიანად სსრ კავშირში

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და ახალი წარმატებანი მოიპოვეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებაში.

მიმდინარე წლის ხუთ თვეში ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რძის წარმოება გაადიდეს 2 მილიონი ტონით ანუ 28 პროცენტით 1956 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აქედან კოლმეურნეობებმა — 30 პროცენტით და საბჭოთა მეურნეობებმა — 20 პროცენტით.

რუსეთის სფსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში რძე წარმოებულია მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს, 30 პროცენტით, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 22 პროცენტით, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 52 პროცენტით, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 51 პროცენტით, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 76 პროცენტით, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 26 პროცენტით, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 37 პროცენტით, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 44 პროცენტით, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 36 პროცენტით, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 30 პროცენტით.

ერთი ძროხის საშუალო წველადობა ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამა წლის 1 იანვრიდან 1 ივნისამდე გადიდდა 123 კილოგრამით გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით, ხოლო რუსეთის სფსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 140 კილოგრამით, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 66 კილოგრამით, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 145 კილოგრამით, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 139 კილოგრამით, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 164 კილოგრამით, ლატვიის სს რესპუბლიკაში — 168 კილოგრამით, ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — 243 კილოგრამით, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 154 კილოგრამით, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 114 კილოგრამით, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 150 კილოგრამით.

ჩვენს ქვეყანაში რძის წარმოების გადიდებამ შესაძლებელი გახადა ვადამდე, 20 ივნისისათვის, შესრულებულიყო მთლიანად სსრ კავშირში რძის დამზადებისა და შესყიდვის ნახევარი წლის გეგმა 108 პროცენტით, აქედან საბჭოთა მეურნეობებში — 110 პროცენტით და კოლმეურნეობებში — 107 პროცენტით. ჩვენი ქვეყნის ყველა კატეგორიის მეურნეობებში სახელმწიფოს ჩაბარდა და მიეყიდა 1.726 ათასი ტონით, ანუ 26 პროცენტით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

რძის დამზადებისა და შესყიდვის წლის პირველი ნახევრის გეგმა წარმატებით შესრულდა რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ლიტვის, მოლდავეთის, ლატვიის, ტაჯიკეთის, ესტონეთის, სომხეთის, თურქმენეთის მოკავშირე რესპუბლიკებში.

რძე დამზადდა და შესყიდულ იქნა მეტი, ვიდრე გასული წლის ამ თარიღისათვის: რუსეთის სფს რესპუბლიკაში — 27 პროცენტით, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 18 პროცენტით, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 57 პროცენტით, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 47 პროცენტით, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 64 პროცენტით, მოლდავეთის სს რესპუბლიკაში — 23 პროცენტით; ლატვიის სს რესპუბლიკაში—35 პროცენტით, ესტონეთის სს რესპუბლიკაში — 32 პროცენტით, სომხეთის სს რესპუბლიკაში — 20 პროცენტით, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 27 პროცენტით, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 16 პროცენტით.

მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა და რაიონებმა უკვე შეასრულეს რძის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმები და განაგრძობენ გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარებასა და მიყიდვას.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში

ᲥᲕᲐᲠᲔᲚᲘ. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). საკოლმეურნეო პურის ყანებში დღითა და ღამით განუწყვეტელი შრომაა გაჩაღებული: კოლმეურნეები და მექანიზატორები პურეულს უხვ მოსავალს იღებენ. ერთ-ერთი პირველი შეუდგა მოსავლის აღებას ახალციხეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

— რვაას ჰექტარზე მეტი ხორბალი გვაქვს მოსამკელი, — გვეუბნება კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. კახიძე. — ოთხი დღეა, რაც პურის მკას შეუდექით. უკვე აღებულია 160 ჰექტარი პურეული. საშუალოდ ჰექტარზე გალეწილია 17,8 ცენტნერი ხორბალი. ჩვენს ყანებში წარჩინებული კომბაინერები პლატონ მოდებაძე და გიორგი ჯელაძე მუშაობენ. მკაში განსაკუთრებით დაწინაურდა პლატონ მოდებაძე (პირველი ხუთეული ზემოდან — წრეში). მან ვალდებულება იკისრა წელს მომკას 400 ჰექტარი. მასთან ერთად თავდადებით შრომობენ ტრაქტორისტი ლ. ჯალალოვი და მეშტურვალე ბ. წითელაური.

პურის ყანებიდან მივდივართ კოლმეურნეობის მექანიზებულ კალოზე, სადაც 140-ზე მეტი კაცი შრომობს. მათი დიდი უმრავლესობა მოსწავლე ახალგაზრდობაა. მოსწავლეთა ერთი ნაწილი თავთავებს კრეფს. თვითეული მათგანი დღეში 20-25 კილოგრამ თავთავს აგროვებს. მათ შორის გამოირჩევიან ეთერ კურტანაძე, მაია ჩუბინიძე, ნამზა ოსიაშვილი და სხვები. მოსწავლეთა სხვა ჯგუფები ცდილობენ თავი გამოიჩინონ მარცვლეულის წმენდასა და ტომრებში ხორბლის ჩაყრაზე (მეორე სურათი). ხწორედ მათი შრომის შედეგიც არის, რომ 22 ივნისისათვის კოლმეურნეობამ პირნათლად შეასრულა სახელმწიფოსთვის პურის ჩაბარების გეგმა.

დიდი გამოცოცხლებაა კალოზე: ყოველ წუთს მოდიან ნორბლით დატვირთული ავტომანქანები, განუწყვეტლივ მუშაობს მარცვალსაწმენდი მანქანა. კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ კალოზე მოაწყო აგიტპუნქტი, სადაც აგიტატორთა ყოველდღიური მორიგეობაა დაწესებული. აი ახლაც მორიგე აგიტატორი მარო მამაიაშვილი (მესამე სურათი) კოლმეურნეებს ესაუბრება მოსავლის აღების სამუშაოთა მიმდინარეობაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მ ო მ ა ვ ლ ი ს ს ა რ კ მ ე ლ ი

საბჭოთა ატომის ელექტროსადგურის სამი წლის მუშაობა

მოვლენა, რომელმაც სამი წლის წინათ ააღელვა მთელი კაცობრიობა, ვახტის ჟურნალში აღნიშნულია ლაკონიურად, უაღრესად ტექნიკური ენით: „17 საათი და 45 წუთი. გავედით ტურბინზე“. ეს არის და ეს. ასე აღინიშნა მსოფლიოში პირველი ატომის ელექტროსადგურის მუშაობის დაწყება, რომლითაც ახალი ერა დაიწყო ტექნიკის ისტორიაში.

— როგორია სადგურის სამი წლის სამრეწველო ექსპლოატაციის მთავარი შედეგი? — ვეკითხებით სადგურის დირექტორს ა. ნ. გრიგორიანცს.

— ერთ-ერთი მთავარი შედეგი ის არის, რომ სადგურის ტექნოლოგიურმა მოწყობილობამ, რომელიც ჩვენმა მეცნიერებმა, ინჟინრებმა და მუშებმა შექმნეს, — ამბობს იგი. — ბრწყინვალედ ჩაუბარა სამი წლის გამოცდა და ყველაზე ოპტიმისტურ იმედებსაც კი გადააჭარბა. საქმე ეხება ურანის სითბოგამომყოფ ელემენტებს, ორთქლის გენერატორებს, საცირკულაციო ტუმბოებს, მრავალ ხელსაწყოს.

— თავდაპირველად იყო თუ არა შიში მოწყობილობის ცალკეული კვანძების შესახებ?

— უეჭველად. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, ჩვენ ხომ არ გვქონია რაიმე გამოცდილება, რადგან ასეთი სადგური პირველად შენდებოდა მსოფლიო ისტორიაში. ბუნებრივია, რომ უწინარეს ყოვლისა გვაშინებდა ყველაზე პასუხსაგები რამ — სითბოგამომყოფი ურანის ელემენტები, რომლებიც რეაქტორში 500-ზე მეტი ცალია. სწორედ ამ ელემენტებში ხდება ურან-235-ის იზოტოპის ატომგულის გახლეჩის პროცესი. სამ წელიწადში ჩვენთან მწყობრიდან არ გამოსულა არც ერთი ასეთი ელემენტი, ისევე როგორც არ გვქონია ბიოლოგიური უსაშიშრობის ტექნიკის დარღვევის არც ერთი შემთხვევა. უფრო მეტიც, ჩვენ შევძელით პროექტთან შედარებით გაგვედიდებინა როგორც ელემენტების სამსახურის ვადა, ისე ურან-235-ის იზოტოპის ამოწვის სიღრმე.

ა. ნ. გრიგორიანცის ნათქვამი რომ უკეთ გავიგოთ, შევიდეთ მთავარ დარბაზში რეაქტორთან. ვესტიბიულიდან იქ შევდივართ ზიგზაგისებრი შესასვლელით ორი მეტრი სისქის რკინაბეტონის კედლის გავლით. პირველ წამს ეს მაღალი სადგომი იმედს გვიცრუებს. აქ სიცარიელეა, არაფერი არ არის. მხოლოდ შემდეგ შენიშნავ დიდ შავ წრეს, რომელიც დაახლოებით მესამედ მეტრზეა იატაკიდან. ამ წრის — თუჯის მძლავრი ფილების ჭვეშ, რომლებიც გზას უღობავენ რადიაქტიურ გამოსხივებას, არის რეაქტორი. ის არა ჩანს.

მაგრამ მაინც როგორია თუ თვითონ მთელი რეაქტორი არა, თუნდაც ერთ-ერთი მისი ტექნოლოგიური არხი 128 არხიდან, რომელთაგან თვითეული შეიცავს ოთხ სითბოგამომყოფ ელემენტს?

ასეთი არხი დევს სადგარზე რეაქტორის გვერდით. იგი დადგმულია სპეციალურად მრავალრიცხოვანი ექსკურსანტებისათვის, რომლებიც აქ მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიან. ეს არის მრგვალი შავი ღერძი ხელის მტევნის სისქისა და ექვსი მეტრი სიგრძისა. ზევიდან იგი დაფარულია გრაფიტის ფენით. ღეროს შიგნით უჟანგავი ფოლადის მილით დიდი წნევით იტუმბება დისტილიზებული წყალი. შემდეგ წყალი უკანვე მოდის, მაგრამ უკვე არა ერთი, არამედ აგრეთვე უჟანგავი ფოლადის და ორმაგკედლებიანი ოთხი მილით. მილის კედლებს შუა სივრცე სავსეა „სითბოთით“ — ურანით. გიგანტური შიდა ატომგულის ენერგია, რომელიც თავისუფლდება ურანის ატომგულის დაშლის დროს ნეიტრონთა ნაკადის ზემოქმედებით, ფოლადის მილის კედლის საშუალებით სითბოს სახით გადაეცემა წყალს. მაგრამ ეს წყალი, რომელიც რეაქტორიდან გამოდის, რადიაქტიურია, ამიტომ მის სითბოს ენერგიას კი არ იყენებენ უშუალოდ ორთქლის გენერაციისათვის, არამედ სპეციალური სისტემის მეშვეობით გადაეცემა მეორე კონტურის წყალს, საიდანაც ჩნდება ორთქლი.

სადგურის ექსპლოატაციის მუშაკთა შესანიშნავი კოლექტივის დიდი მიღწევაა ახალი მეთოდი, რომელიც მან შექმნა რეაქტორის „სათბობით“ ასავსებად — არხების მეშვეობით. პროექტის შესაბამისად 128-ვე არხი წინათ ერთბაშად ივსებოდა. 100 დღის განავლის შემდეგ სადგური დაახლოებით ერთი კვირით ჩერდებოდა „ხელახლა დასამუხტავად“. ნახმარ არხებს იღებდნენ და ახლით ცვლიდნენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ურანი უფრო ინტენსიურად „ამოიწვის“ ხოლმე ცენტრში განლაგებულ არხებში, და, პირიქით, — ნაკლებად ინტენსიურად კიდეებში. მაშინ დავიწყეთ რეაქტორის დატვირთვა ცალკეული ზონების მიხედვით და ამას დიდი ეფექტი მოჰყვა როგორც გაცდენის შემცირების მხრივ, ისე ურან-235 იზოტოპის უფრო სრული ამოწვის მხრივ.

— საერთოდ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, — ამბობს ა. ნ. გრიგორიანცი, — რომ რეაქტორის კონსტრუქციას უდიდესი პოტენციური შესაძლებლობანი აქვს. ისინი კიდევ უფრო დიდი ეფექტით იქნება გამოყენებული ატომის ახალ სადგურებში, რომლებიც შენდება.

თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ატომის ენერგეტიკული გიგანტების პროექტანტები, მათი მშენებლები უდიდეს გამოცდილებას იძენენ აქ. აქ მზადდება კადრები მათი ექსპლოატაციისათვის. ამ სადგურში კარგი სკოლა გაიარა უკვე ათობით სპეციალისტმა, რომლებიც მომზადებული არიან დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

ატომის ენერგეტიკის ამ ლაბორატორიაში ჩამოყალიბდა და გამოიზარდა ინჟინერთა და მუშათა მაღალკვალიფიციური კოლექტივი. ვისგან შედგება ეს კოლექტივი? — ძირითადად ახალგაზრდობისაგან, — ამბობს დირექტორი. — არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენთან მშენებლობასა და მოწყობილობის მონტაჟზე მოვიდნენ პირტიტველა სტუდენტები — კომკავშირელები ვლადიმერ შმელიოვი, გრიგოლ მერზლიკინი, სერგი ბალონკინი, იური ევდოკიმოვი, ლევ კოჩეტკოვი და სხვები. ახლა ისინი გამოცდილი ინჟინრები არიან, რომლებმაც შესანიშნავი სკოლა გაიარეს. ისინი უკვე დამოუკიდებლად მუშაობენ ცვლების უფროსებად. განაგრძობენ რა სწავლას მუშაობის დროს, ისინი თვითონ ამზადებენ კადრებს და არა მარტო იმ ატომის ელექტროსადგურებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირში შენდება. მაგალითად, ახლა აქ პრაქტიკას გადის ჩინელი სპეციალისტების ჯგუფი.

სოციალიზმის ქვეყანა, რომელმაც ისტორიაში პირველად ჩააყენა შშვიდობისა და პროგრესის საქმის სამსახურში ატომის ენერგია, თავის მიღწევებს უზიარებს ყველა ხალხს. აი მნახველთა შთაბეჭდილების წიგნი. უფრო სწორად არა წიგნი, არამედ რამდენიმე გავსებული წიგნი. რა ენაზე გინდათ, რომ აქ არ იყოს აღფრთოვანებული ჩანაწერი! ჩინურსა და გერმანულზე, ჩეხურსა და პოლონურზე, ინგლისურსა და ფრანგულზე, შვედურსა და ბულგარულზე, ალბანურსა და ესპანურზე, უნგრულსა და იტალიურზე, ინდონეზიურსა და ჰინდი ენებზე... და ყველა ეს ჩანაწერი ღრმა პატივისცემის ხარკს უხდის ჩვენს მეცნიერებს, ჩვენს დიად სამშობლოს, რომელმაც ახალი ხანა დაიწყო კაცობრიობის ტექნიკურ პროგრესში. ასობით წარწერიდან მოვიყვანთ მარტო ერთს, რომელიც ეკუთვნის ინდოეთის მთავრობის მეთაურს ჯავაჰარლალ ნერუს: „მოხარული ვარ, რომ ვიყავი ამ სადგურში, და მოხიბლული ვარ ამ სადგურით. ამან საშუალება მოგვცა დაგვენახა მომავალი, რომელიც უკვე ჩანს“.

დიახ, ეს სადგური ჭეშმარიტად მომავლის — კომუნისტური საზოგადოების ტექნიკის სამყაროს სარკმელია.

ი. არტემოვი,
ხაკდენის კორ.

პარტიული ცხოვრება

უფრო მგზნებარედ გაისმოდეს მინდვრად აგიჭაჭორთა მომწოდებელი ხმა

ლაგოდეხის რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების და აგიტატორების თათბირზე

ლაგოდეხელ კოლმეურნეთა შრომა და ამაგი დიდად დაფასდა: პურის ყანებსა და თამბაქოს პლანტაციებში კარგი მოსავალი მოვიდა, და ახლა სწრაფად აღებას ელოდება. ყველგან, ყოველ სოფელში დაძაბული, შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი, ყველანი მინდვრად გასულან და თავდადებით შრომობენ.

დიდია აგიტატორებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა როლი და პასუხისმგებლობა მოსავლის აღების დღეებში. ამჟამად კიდევ უფრო მგზნებარედ უნდა გაისმოდეს მინდვრად აგიტატორთა მომწოდებელი ხმა. სწორედ ამიტომ ლაგოდეხის რაიონის პარტიული ორგანიზაციები იღებენ ზომებს მინდვრებსა და პლანტაციებში, კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფართოდ გაჩაღებისათვის.

ამ დღეებში პარტიის ლაგოდეხის რაიკომმა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასთან ერთად მოაწყო რაიონული თათბირი, მიძღვნილი მოსავლის აღების დღეებში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების საკითხის განხილვისადმი. თათბირს ესწრებოდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, აგიტატორები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები, სულ 300-მდე კაცი. მომხსენებელმა, პარტიის ლაგოდეხის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ა. ბეგიაშვილმა და კამათის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მასებში პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება, მკაცრად გააკრიტიკეს არსებული ნაკლოვანებანი, დასახეს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები და ღონისძიებები. თვითეული გამოსვლა მიმართული იყო იქითკენ, რომ შემდგომ ამაღლდეს მოსავლის აღების გადამწყვეტ დღეებში პოლიტიკური აგიტაციის იდეური დონე და კიდევ უფრო გაძლიერდეს მისი ქმედითობა.

ქვემოთ ქვეყნდება თათბირის ანგარიში.

ფართოდ გავაჩაღოთ მოსავლის აღების დღეებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა

(პარტიის რაიკომის მდივნის ამხ. ა. ბეგიაშვილის მოხსენებიდან)

ამხანაგებო! საბჭოთა ხალხი უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აქტიურ შემოქმედებითს შრომას ეწევიან ლაგოდეხის რაიონის მშრომელები. ისინი თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ ოქტომბრის დიადი დღესასწაულის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. სწორედ ამ ბრძოლის შედეგია ის, რომ რაიონის პურის ყანებსა და თამბაქოს პლანტაციებში კარგი მოსავალი მოვიდა.

დადგა გადამწყვეტი დრო სოფლის მეურნეობაში — მოსავლის აღება. მოსავლის აღება ყველაზე პასუხსაგები პერიოდია მარცვლეულის მეურნეობაში. წელს რაიონის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა 11 ათასზე მეტი ჰექტარი პურეული უნდა აიღონ. ეს დიდი და სერიოზული ამოცანაა.

აქა-იქ, ცალკეულ კოლმეურნეობებში უკვე დაიწყეს ხორბლის აღება, მაგრამ ეს სამუშაო ყველა კოლმეურნეობაში ფართოდ გაიშლება. მოსავლის აღებაზე იმუშავებს 50-ზე მეტი კომბაინი. ამასთან ერთად ნაწვერალზე უნდა დაითესოს 3.550 ჰექტარი სიმინდი, რაზედაც ათობით ტრაქტორი იმუშავებს. ყოველივე ეს გვავალებს როგორც პურეულის აღებაზე, ისე სიმინდის თესვაზე მთელი სიმძლავრით გამოვიყენოთ მტს-ებში არსებული ტექნიკა. ამასთან საჭიროა ფართოდ მოვაწყოთ პურეულის ხელით მკაც.

როგორც ხედავთ, წინ დიდი სამუშაო გვიდგეს. მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში თავიანთი სიტყვითა და საქმით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგიტატორებმა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა, ძირეული პრესისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკებმა. ისინი მოწოდებული არიან მოსავლის აღების დღეებში კიდევ უფრო გააძლიერონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა, დარაზმონ კოლმეურნეები და მექანიზატორები მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საბრძოლველად.

კოლმეურნეობებისა და მტს-ების ბევრი პირველადი პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს მინდვრად პოლიტიკური აგიტაციის ფართოდ გაჩაღებისათვის. სოფელ ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ გამგეობასთან ერთად დროულად შეადგინა მოსავლის აღების საშუშაოთა გეგმა. ამ გეგმაში გათვალისწინებულია მთელი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გადატანილ იქნას მინდვრად, იქ, სადაც მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების ბედი წყდება. მინდვრად, კალოსთან, მოწყობილია აგიტპუნქტი, სადაც შესვენების საათებში და საღამო ხანს კოლმეურნეებისა და მექანიზატორებისათვის მორიგე აგიტატორები სისტემატურად მართავენ საუბრებს. აგიტპუნქტი ლამაზად არის გაფორმებული პლაკატებთა და მოწოდებებით, ხდება რადიოგადაცემათა კოლექტიური მოსმენა. აქ ყოველთვის არის ახალი გაზეთები და ჟურნალები, აგრეთვე საინტერესო ბროშურები სოფლის მეურნეობის საკითხებზე. მინდვრად გავიდა კოლმეურნეობის ბიბლიოთეკაც. უკვე გამოვიდა საკოლმეურნეო კედლის გაზეთის მორიგი ნომერი, მიძღვნილი მოსავლის აღების საკითხებისადმი.

აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი ვ. შეყილაძე კვირაში ერთხელ აწყობს აგიტატორთა მეცადინეობას, ეხმარება მათ სათანადო მეთოდური რჩევა-დარიგებითა და მასალებით. აგიტატორები დ. ბოჭორიშვილი, გ. ცქიფურიშვილი, ს. მამულაშვილი, მაყვალა ყაველაშვილი ამ დღეებში მინდვრად არიან გასული და ღრმაშინაარსიან, საინტერესო საუბრებს მართავენ კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან, ამასთან თვითონაც აღფრთოვანებით მონაწილეობენ პურეულის აღებაში.

წელს კოლმეურნეობაში პურეულის მკაზე ორი კომბაინი იმუშავებს, მაგრამ ეს საკმარისი როდია იმისათვის, რომ მოსავალი 10-12 სამუშაო დღეში იქნას აღებული. პარტბიუროში აგიტატორებს მოესაუბრნენ ამ მდგომარეობის შესახებ. აგიტატორებმა ამ საკითხზე სპეციალური საუბრები მოაწყეს, რის შემდეგ კოლმეურხეებმა გადაწყვიტეს ხორბლის ნაწილი ნამგლით მომკან. ამჟამად 180 კოლმეურნე ხელით იღებს პურეულს. გარდა ამისა, შექმნილია ახალგაზრდული ბრიგადები 190 კაცის შემადგენლობით, რომლებიც თავთავებს ჰკრეფენ.

ასევე ფართოდ გაიშალა სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა სოფელ თამარიანის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში. მოსავლის აღებასთან დაკავშირებით აქ პარტიულმა ორგანიზაციამ გადასინჯა აგიტატორთა კადრები, გაანაწილა კომუნისტები ყველაზე გადამწყვეტ უბნებზე. გამოყოფილი არიან საველე გაზეთების რედაქტორები. ადგილობრივი ძალებით მინდვრად ეწყობა მოხსენებები. ამ დღეებში პარტიულ კრებაზე განხილულ იქნა საკითხი მოსავლის აღების პერიოდში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. ამავე თემაზე მოეწყო აგიტკოლექტივის სემინარის მორიგი მეცადინეობა. აგიტატორები ენერგიულად მუშაობენ კოლმეურნეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაძლიერებისათვის. მათ თვითეულ ბრიგადაში მოაწყეს დაფები, რომლებზეც გამოქვეყნდება მოსავლის წარმატებით აღებისა და პურის დამზადების გეგმის შესრულებისათვის გაჩაღებული შეჯიბრების შედეგები.

მაგრამ სააგიტაციო მუშაობა ყველგან ასე როდია მოწყობილი. მაგალითად, მოლოტოვის, „ზარია ვოსტოკას“ და „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობებში პოლიტიკურ აგიტაციას ეწევიან უშინაარსოდ, ფორმალურად, კონკრეტული ვითარებისა და კოლმეურნეთა წინაშე მდგომი ამოცანების გაუთვალისწინებლად. რამდენიმე დღეა მოსავლის აღება დაიწყო, ამ კოლმეურნეობების მექანიზებული კალოებზე კი ჯერ კიდევ გამოყოფილი არ არიან აგიტატორები. გამოყენებული არ არის თვალსაჩინო აგიტაციის მრავალფეროვანი საშუალებები. „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობაში აგიტატორები შ. ფილიევი, გ. ქოზაევი, ა. ვანიევი და სხვები სრულ უმოქმედობას იჩენენ. აქ აგიტატორად შერჩეულია მცირემცოდნე კოლმეურნე მელქ დურმიშ ოღლი მელიქოვი, რომელსაც უძნელდება დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები სოფლად მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენენ. მათ დიდი როლი უნდა შეასრულონ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში. სწორედ ასე გაიგეს თავიანთი მოვალეობა სოფელ ცოდნისკარის კლუბისა და სამკითხველოს მუშაკებმა. მოსავლის აღებასთან დაკავშირებით მათ შეადგინეს მინდვრად კულტურულ-მასობრივი მუშაობის გეგმა, შექმნეს აგიტმხატვრული ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებული არიან დეკლამატორები, მომღერლები და მოცეკვავეები. შერჩეულია საინტერესო წიგნები და ბროშურები, აგრეთვე ჟურნალები მინდვრად გასატანად.

დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულთა გამოცდილების შესწავლასა და გავრცელებას. საჭიროა ამისათვის გამოყენებულ იქნას სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის ყველა საშუალება. აგიტატორი შეჯიბრების სული და გული უნდა იყოს, იგი კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს სისტემატურად უნდა აცნობდეს შეჯიბრების შედეგებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფები მტს-ების ზონებში მოწოდებული არიან ყოველდღიურად უხელმძღვანელონ პოლიტიკურ აგიტაციას, შემდგომ გაუმჯობესონ მისი შინაარსი. საჭიროა ისე მოვაწყოთ აგიტატორებთან მუშაობა, რომ ისინი ნამდვილად წარმოადგენდნენ პარტიის აქტიურ თანაშემწეებს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში.

აგიტატორის ადგილია პურის ყანაში, კალოზე

(სოფელ ყარხუბნის „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელის ამხ. თ. მაიხურაძის სიტყვიდან)

ჩვენს აგიტკოლექტივში 25 აგიტატორია. მეძინდვრეობის ბრიგადებში, მეცხოველეობის ფერმებსა და ბაღ-ვენახებში სამუშაოდ გამოყოფილი არიან სათანადო გაძოცდილების მქონე, პოლიტიკურად მომზადებული აგიტატორები, ამასთან თვითეულ მათგანს მიჩენილი აქვს გარკვეული სამოქმედო უბანი. ასე რომ საკოლმეურნეო წარმოების არც ერთი მნიშვნელოვანი უბანი უაგიტატოროდ არ არის.

ამჟამად კოლმეურნეობის მთელი საქმიანობა მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისაკენ არის წარმართული, ასევე ჩვენი აგიტკოლექტივის მთელი უურადღებაც. ახლა თვითეული აგიტატორის ადგილი მინდვრად — პურის ყანაში და კალოზეა.

უკვე მოვაწყეთ აგიტატორთა მეცადინეობა თემებზე: „სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები მარცვლეული მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში“ და „როგორ ავიღოთ ჩაწოლილი პური“. უახლოეს ხანებში აგიტატორთა მეცადინეობა მოეწყობა შემდეგ თემებზე: „სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის აღების დღეებში“, „უზრუნველვყოთ ნაწვერალზე სიმინდის ძაღალხარისხოვნად თესვა“, „როგორ მოვაწყოთ მარცვლეულის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა“ და სხვ. გარდა ამისა, გეგმით გათვალისწინებულია მინდვრად პოლიტიკური მოხსენებების წაკითხვა, მხატვრული კონცერტების მოწყობა და კინოსურათების ჩვენება. მექანიზებულ კალოზე და კომბაინების სადგომებთან გამოშვებულია საველე გაზეთების პირველი ნომრები.

აგიტატორებს სისტემატურად ვაცნობთ და უზრუნველვყოფთ მათ სათანადო მასალებითა და ცნობებით. მორიგ მეცადინეობაზე, რომელიც მოსავლის აღებას მიეძღვნა, აგიტატორებს გავაცანით კოლმეურნეობისა და ცალკეული ბრიგადების წინაშე მდგომი ამოცანები. ჩვენ მათ ვუთხარით, რომ წელს აღებულ უნდა იქნას 650 ჰექტარი პურეული, ამას გარდა თამბაქოს თოთოლი შესატენია 192 ჰექტარზე.

აგიტატორებს მიეცათ ახსნა-განმარტება, თუ როგორ მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის აღებაზე მომუშავეთა შორის, როგორ მოამზადონ და გამოუშვან საველე გაზეთები და სხვ. მეცადინეობაზე მიღებული რჩევა-დარიგება კარგად გამოიყენეს აგიტატორებმა ა. ხუხაშვილმა, ქეთო კაპანაძემ, ჟ. დარახველიძემ, ბ. ბიწაძემ, ნაზო ბლიაძემ, ნათელა ნოზაძემ, ნინო გაჩეჩილაძემ, გულნარა ბიწაძემ და სხვებმა. მათ დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა გააჩაღეს მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან.

აგიტატორები მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის ინიციატორები არიან. ისინი ყოველდღიურად აჯამებენ შეჯიბრების შედეგებს და საველე გაზეთების საშუალებით ფართოდ აცნობენ კოლმეურნეებს და მექანიზატორებს. ამ დღეებში მოსავლის აღებაში ყველაზე წინ მიდის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადა, რომელსაც ი. გოგოლაძე ხელმძღვანელობს. შეჯიბრებაში მოწინავეა აგრეთვე აგრეგატი, სადაც კომბაინერია გ. გელაშვილი, ტრაქტორისტია ე. გელაშვილი, ხოლო მეშტურვალეა ვ. გელაშვილი. კომბაინის აგრეგატის კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ მოსავლის აღება მოკლე ვადაში დაამთავროს.

აგიტატორები უხვი მოსავლისათვის მებრძოლთა გამოცდილებას ფართოდ აცნობენ კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს.

ავიღოთ პურეული 10-12 სამუშაო დღეში

(სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ აგიტატორის ამხ. გ. მაჭარაშვილის სიტყვიდან)

ჩვენთან ეს არის დაიწყო პურეულის აღება. მე უკვე გავმართე მინდვრად პირველი საუბარი. ამ საუბრის დროს გამომჟღავნებულ იქნა მოსავლის აღების ნაკლოვანებები. კერძოდ, გამოირკვა, რომ კომბაინებზე მოწყობილი არ ჰქონდათ განათება ღამის პირობებში მუშაობისათვის. ამ ნაკლის გამოსასწორებლად დროულად იქნა მიღებული ზომები.

მეორე ბრიგადამ მოსავალი უნდა აიღოს 150 ჰექტარზე. მოსავალს კარგი პირი უჩანს. ბრიგადაში გაჩაღდა შეჯიბრება მოსავლის 10-12 სამუშაო დღეში აღებისათვის. მკის დაჩქარების მიზნით გადაწყდა ხელით აღებულ იქნას 30 ჰექტარი პურეული. დანაკარგებთან ბრძოლის მიზნით შევქმენით თავთავის ამკრეფთა ბრიგადა 30 კაცის შემადგენლობით.

ბრიგადაში ორ დღეში ერთხელ ვუშვებთ საველე გაზეთს, რომელშიც ვაშუქებთ მოსავლის აღების მოწინავეებს, ვაკრიტიკებთ ხელისშემშლელ მიზეზებს.

მუშაობა დაიწყო მოძრავმა ბიბლიოთეკამ. მინდვრად მოწყობილია სამედიცინო პუნქტი, სადაც ორი სანიტარი ქალი მუშაობს. დიდ ყურადღებას ვაქცევთ ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის წესების მტკიცედ დაცვას. სრულ წესრიგზეა მოყვანილი ცეცხლსაქრობები, წყლის კასრები.

სრული დატვირთვით გამოვიყენოთ არსებული ტექნიკა

(ვარდისუბნის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადის აგიტატორის ამხ. ხ. ლაცაბიძის სიტყვიდან)

გასულ წელს ჩვენს სატრაქტორო ბრიგადას არასახარბიელო მაჩვენებლები ჰქონდა. სრული დატვირთვით არ იყო გამოყენებული არსებული ტექნიკა. მექანიზატორთა შორის იყო უდისციპლინობის შემთხვევები. მე შევისწავლე მოწინავე ტრაქტორისტის ამხ. გოგოლაძის გამოცდილება და ამ გამოცდილების შესახებ მოვუთხრე ჩვენი სატრაქტორო ბრიგადის წევრებს.

მოწინავე გამოცდილების პროპაგანდამ კარგი ნაყოფი გამოიღო. წელს ბრიგადამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა და წარმატებით შეასრულა საგაზაფხულო ხვნა-თესვის გეგმა. 1.050 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 1.090 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით. გადაჭარბებით არის შესრულებული სიმინდის ნათესების პირველი და მეორე კულტივაციის დავალება. ამ მაჩვენებლებით ბრიგადამ მეორე ადგილი დაიკავა სატრაქტორო ბრიგადებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამჟამად ჩვენი ბრიგადის მექანიზატორები წარმატებით მუშაობენ მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავლის აღებაზე. ამ დღეებში სააგიტაციო საუბრებს მოვაწყობ შემდეგ თემებზე: „ფართოდ გავაჩაღოთ მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრება“, „პროგრესული მეთოდებით ვაწარმოოთ პურეულის აღება“, „სრული დატვირთვით ვამუშაოთ კომბაინები“ და სხვ.

კედლის გაზეთის საბრძოლო ამოცანა

(სოფელ ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთის რედაქტორის ამხ. ა. მელიქიძის სიტყვიდან)

მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება კედლის გაზეთის საბრძოლო ამოცანაა. სარედაქციო კოლეგიამ იმსჯელა ამ საკითხზე და შეიმუშავა მოსავლის აღების მიმდინარეობის გაშუქების კონკრეტული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით პურეულის მკის დღეებში კოლმეურნეობის კედლის გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ.

მოსავლის აღების დაწყებისთანავე გამოვუშვით კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელიც მთლიანად პურეულის მკისა და მარცვლეულის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლისადმი არის მიძღვნილი. გაზეთში შემოღებულია განყოფილებები: „ამბები პურის ყანებიდან“, „შეჯიბრებაში გამარჯვებულები“ და სხვ. კედლის გაზეთში მოთავსებული წერილები მოგვითხრობენ იმაზე, თუ როგორ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებისათვის. გაკრიტიკებულია მკის პირველ დღეს გამომჟღავნებული ნაკლოვანებანი.

პურეულის აღებასთან ერთად კედლის გაზეთი ფართოდ აშუქებს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ბუდიონოვკის ფოსტის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს. ხელისმომწერლები დიდი დაგვიანებით იღებენ ჟურნალ-გაზეთებს.

მთავარია ადამიანებთან მუშაობა

(პარტიის რაიკომის ინსტრუქტორის ვარდისუბნის მტს-ის ზონაში ამხ. გ. გოგოლაძის სიტყვიდან)

მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ კადრები, ადამიანები. ამიტომ მასებში პოლიტიკური აგიტაციის გაჩაღების, ადამიანებთან მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას დიდი მნიშვნელობა აქვს პურეულის მკის წარმატებით ჩატარებისა და პურის დამზადების გეგმების დროულად შესრულების საქმეში.

მე მომსახურებას ვუწევ ლენინის, „პრავდისა“ და ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობებს. სამივე კოლმეურნეობაში დროულად იქნა შედგენილი მოსავლის აღების სამუშაოთა გეგმა. ამ გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი კომუნისტების და საკოლმეურნეო აქტივის გადამწყვეტ საწარმოო უბნებზე განაწილებას, პოლიტიკური აგიტაციის ფართოდ გაშლას, ადამიანებთან მუშაობის გაუმჯობესებას.

ამჟამად მარტო „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში 20-ზე მეტი აგიტატორი აწყობს მინდვრად საუბრებს კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან. მერვე ბრიგადაში აგიტატორია ელიკო კაპანაძე. მისი საუბრები ყოველთვის საინტერესო, დამჯერებელი და ღრმაშინაარსიანია. საუბრებში იყენებს ადგილობრივი ცხოვრებიდან აღებულ ფაქტებს, თვალსაჩინოებას. ორ-სამ დღეში ერთხელ უშვებს საველე გაზეთს, რომელშიც ფართოდ არის გაშუქებული მოსავლის აღების მიმდინარეობა. აგიტატორთა დასახმარებლად ყოველ კვირას იმართება აგიტკოლექტივების მეცადინეობა, ეწყობა მოხსენებები და ლექციები. ხდება მოწინავე აგიტატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

მაგრამ მასებში პოლიტიკური მუშაობა ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არა დგას ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობაში. მაგალითად, ამ კოლმეურნეობის აგიტატორი ნ. ლისიაკოვა იშვიათად აწყობს საუბრებს მინდვრად.

მოსავლის აღების დღეებში კომბაინის აგრეგატებთან და კალოებზე ადამიანთა დიდი ჯგუფები იყრიან თავს. ამიტომ ამ შესაკრებ ადგილებში თვალსაჩინო აგიტაციის მოწყობას რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი და პარტიული ორგანიზაციები დიდ უურადღებას აქცევენ. ყველა კალოზე გაკრულია პლაკატები და დიდი წითელი ტილოები ასეთი მოწოდებებით: „ვიბრძოლოთ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის!“, „პირველი განალეწი ხორბალი ჩავაბაროთ სახელმწიფოს!“, „მოსავალი ავიღოთ უმოკლეს ვადაში და უდანაკარგოდ!“.

ლაგოდეხის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების და აგიტატორების თათბირი. ტრიბუნაზეა ამხ. ა. ბეგიაშვილი. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თათბირზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე რაიონულ კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. ბ. ქუთათელაძე, სოფელ ლელიანის ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. კაპანაძე. საყურადღებო იყო თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის დირექტორის ამხ. ვ. უნგიაძის და ლაგოდეხის სასოფლო კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ი. ლობჟანიძის გამოსვლები. მათ განაცხადეს, რომ მოსავლის აღება არა მარტო სოციალისტური სოფლის მშრომელების, არამედ მთელი ჩვენი ხალხის საქმეა. როგორც თამბაქოს საფერმენტაციო ქარხნის, ისე სასოფლო კოოპერატივის მუშა-მოსამსახურეები აქტიურად ებმებიან უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სხვა საწარმოთა და დაწესებულებათა კოლექტივები.

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. პ. ბაქრაძემ თავის სიტყვაში თათბირის მონაწილეებს მოუწოდა ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა მოსავლის აღების დღეებში.

— თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი წელს კარგია, — თქვა მან, — მაგრამ ხშირი წვიმების შედეგად პური ჩაწოლილია. ამიტომ საჭირო იქნება უფრო დაძაბული მუშაობა, რომ არ გვექნეს მარცვლეულის დანაკარგები.

ჩვენი ამოცანაა — მოსავალი ავიღოთ სწრაფად, არც ერთი თავთავი არ დავტოვოთ მინდვრად! ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, უკეთესად მოვაწყოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მინდვრად.

თათბირის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყო იმის მტკიცე რწმენით, რომ ლაგოდეხის რაიონის მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი დიდი ლენინის მიერ შექმნილი და გამობრძმედილი კომუნისტური პარტიის გარშემო, ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას საბჭოთა სამშობლოს წინაშე და შემჭიდროებულ ვადებში აიღებენ პურეულის უხვ მოსავალს.

ვ. შავგულიძე.

მშვიდობა, შრომა, მეგობრობა...

ხვალ აინთება ფესტივალის ჩირაღდანი

თბილისი საზეიმოდ ირთვება. ქალაქის საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები საფესტივალოდ ფორმდება. ქუჩები და მოედნები მშვენდება ალისფერი დროშებით, ყვავილ-წნულებით, ფერადფერადი ელექტრონათურებით...

„ბურევესტნიკის“ საზეიმოდ გაფორმებულ, მოძმე რესპუბლიკებისა და საბჭოთა კავშირის დროშებით, პლაკატებით, სურათებით მორთულ-მოკაზმულ სტადიონზე ხვალ სალამოს 6 საათზე გაიხსნება საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალი, მისი დაწყების მაუწყებელი იქნება ჩირაღდანი, რომელიც აინთება სტადიონის ცენტრში აღმართულ დანადგარ-ესტრადაზე.

ხვალ საღამოს ამ სტადიონზე დელეგაციები საზეიმოდ დაიწყებენ სხლას ორკესტრის მარშით. ეს იქნება ფესტივალის მონაწილეთა პარადი. შემდეგ დაიწყება საფესტივალო გამოსვლები, კარნავალი, ქალაქშვილთა ზეიმი, კონცერტები ღია ესტრადებზე, კინოფილმების ჩვენება ქუჩებში. ფესტივალზე, რომელშიც დაახლოებით 10 ათასი კაცი მიიღებს მონაწილეობას, მოწვეულნი არიან მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები...

ქალაქის მოედნებზე, პარკებში მოეწყობა მასობრივი თამაშობანი და გართობანი. „დინამოს“ სტადიონზე, საზაფხულო საცურავ აუზში, დიღმის სასროლეთში, დელისის იპოდრომზე გაიმართება გამოსვლები და თამაშობა მძლეოსნობაში, კალათბურთში, ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთში, სროლასა და ცხენოსნობაში.

ასე დაიწყება საქართველოს ახალგაზრდობის პირველი რესპუბლიკური ფესტივალი.

მესტვირის ნათქვამი

„სახლი აგევსოთ ლხინითა!“ — ოდითვე ასე ლოცავდა ხალხს მესტვირე. მესტვირე ომშიც მიჰყვებოდა ქართველთა ლაშქარს და ამხნევებდა შემოსეულ მტერთან ბრძოლაში.

ძველათ საქართველოში და, კერძოდ, რაჭაში, თურმე ბევრი მესტვირე დაიარებოდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში მხოლოდ ორიოდე დარჩა. ფარახეთელ მესტვირეებს ლუკა ტოგონიძესა და ზაქარია ერაძეს შეგირდები არა ჰყავდათ. სტვირი დავიწყებას ეძლეოდა. თითქმის სამი წელი დავდევდი ლუკასა და ზაქარიას, რათა მათებური დაკვრა მესწავლა. გულმოდგინებამ ამაოდ არ ჩაიარა, მიზანს მივაღწიე და ამქამად ზაქარია ერაძის სტვირს მე ვამღერებ. ეს უძველესი ქართული საკრავი რომ არ დაიკარგოს, სტვირის დაკვრა ვასწავლე ჩემს ძმას შალვასაც.

ხვალ დიდი ზეიმი იქნება თბილისში, საქართველოს ახალგაზრდობის ფესტივალზე და მე, ამ ფესტივალის ერთ-ერთი მონაწილე, ჩავბერავ სტვირის გუდას და ძველქართველურად დავამღერებ:

დიდი სამშობლოს მიწაზე
უქრობი შუქი ჰფენია.
დავლოცოთ ხალხთა მშვიდობა
და მისი მედროშენია.
იყოს დღეგრძელი, მზეგრძელი
ქვეყნად მშვიდობის დღენია!

გიგა ჯაფარიძე,
საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის ლაურეატი.

მოდის მშვიდობის დროშის ფრიალით

მოდის, მოღელავს ჰანგთა წკრიალით,
მღელვარ ცხოვრების ფართო კარებით
ახალგაზრდობა ნაპერწკლიანი,
ახალგაზრდობა შეუდარები.

მოდის გუგუნით, ზართა ჟღარუნით,
ათას რიჟრაჟის უთვლელ ფერებად;
ჩვენი ოცნება და სიხარული,
ჩვენი სამშობლოს ბედნიერება.

მოდის სინათლე და სიყმაწვილე,
მოდის თაობა მკლავებმაგარი.
მედროშეებო, დროშა ასწიეთ!
მედაფდაფენო, ერთად დაჰკარით!

მოდის ვაჟკაცურ ჰანგის წკრიალით,
მზიან ზაფხულის გაშლილ კარებით
ახალგაზრდობა ნაპერწკლიანი,
ახალგაზრდობა შეუდარები.

მოდის სიცოცხლის ტალღა ახალი,
ათი კი არა, ასი კი არა...

ყველა ნატვრაზე უფრო მაღალი,
ყველა ცისკარზე უფრო კრიალა.

დილა რძის ღვარად გადმონადენი...
რა ჟრიამული, რა სიმღერები...
ნეტა სად იყო მაინც ამდენი
ოქროს, ფირუზის, მარჯნის ფერები.

ხედავთ, ზეიმი კარს მოგვდგომია,
ხედავთ, ლაჟვარდებს ციცხლი ედება.
ჩვენი სიმღერა ცას შესწვდომია,
ჩვენი სიმღერა არ შეჩერდება.

მოდის მშვიდობის დროშის ფრიალით,
გამთბარ სიცოცხლის ფართო
კარებით,
ახალგაზრდობა ნაპერწკლიანი,
ახალგაზრდობა შეუდარები.

ვასილ გვეტაძე.



ანსამბლი ასრულებს „საჯიმარდო-საზეიმო“ ცეკვას.

რეპორტაჟი — კიდევ ერთი რეპეტიცია, და...

— გიზო, ერთი მიყურე, კარგ წრეს ვხაზავ თუ არა? — მიმართა ზაურ ახვლედიანმა ამხანაგს და გარმონით ხელში ჩაცუცქულმა სოფლური სისწრაფით დაიწყო ტრიალი სცენის სიღრმეში.

— აბა, მე შემომხედეთ, — დაიძახა გოგი შენგელიამ და დოლით ხელში გაფრენილივით დახტა სცენაზე. იგი თითის წვერებზე სწრაფად ასრულებდა ცეკვის სხვადასხვა ელეთებს.

— ბიჭო, ცოტა მაღლა ასწიე თავი, სახეზე მხიარული გაწყობილება მიიღე, — შეუსწორა ამხანაგს გიზო ბერაძემ. მან კარგად იცის, რომ მაყურებელზე მოცეკვავის მოძრაობასთან ერთად დიდ გავლენას ახდენს მისი გამომეტყველებაც. ამის საკმაო გამოცდილება გიზომ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ მიიღო ვარშავაში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V ფესტივალზე. ბერაძემ ამ ფესტივალზე, მის მეგობარ იასონ ზედაშიძესთან ერთად, ქართული ცეკვების საუკეთესო შესრულებით ფესტივალის ლაურეატობა დაიმსახურა.

აი ისინი ახლაც ემზადებიან ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალისათვის, რომელიც გაიმართება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სეენაზე მოცეკვავეთა სხვადასხვა ჯგუფს ვხედავთ, ზოგნი ცალცალკე იმეორებენ ფეხის წვერებზე დატმომთ ტრიალს, ზოგნი გაშლილი ხელებით ლამაზად უვლიან წრეს. ერთ კუთხეში გოგონები შეკრებილან. ისინი არ უშლიან ხელს ვაჟებს, სხეულისა და ხელების ნაზი რხევით ერთ ადგილას მოძრაობენ. დრო ჯერ კიდევ საკმაო აქვთ. რეპეტიციის დაწყებას რამდენიმე წუთი აკლია.

— აბა, ბიჭებო, სამი საათია, — მიმართა ხელმძღვანელმა მოცეკვავეთა ჯგუფს, — ყველანი ადგილებზე დადექით. კიდევ ერთი რეპეტიცია, და შემდეგ უკვე მაყურებლის წინაშე წარსდგებით.

რეპეტიცია დაიწყო.

...ოდნავ ინათა, სცენაზე ცეკვით შემოდის მეომარი, რომელიც თვალზე ხელის მოჩრდილებით მიდამოს ზვერავს. უცებ იგი მიწაზე გაერთხა და ყური მიუგდო მოახლოებული მტრის ცხენის ფეხის ხმას. მას მეორე მეომარი მოჰყვა, მესამე, მეოთხე... ისინი იმავე მოძრაობით ზვერავენ მიდამოს. წუთიც და სცენაზე შემოდის მეომართა სხვადასხვა ჯგუფი, იწყება ბრძოლა. მალე ბრძოლის სურათი ლხინმა შეცვალა. ნელი გოგმანით სცენაზე შემოდიან მოცეკვავე გოგონები. ისინი ნარნარი რხევით უვლიან გარს ვაჟთა მკვირცხლ და სწრაფ ფერხულს.

„ხორუმს“ მოჰყვა ცეკვა „საჯიმარდო-საზეიმო“, შემდეგ „სალხინო“, „მიპატიჟება შეჯიბრით“ და „ფარიკაობა“. რამდენი სილალე და სიმშვენიერეა ასახული მათს შინაარსიან ცეკვებში. ყოველი ცეკვა ნელი ტემპით იწყება, შემდეგ თანდათან მატულობს და ბოლოს სწრაფ ტემპში გადადის. ამავე დროს ყოველ ცეკვას წითელი ზოლივით გასდევს ქალის წინაშე ვაჟის კლდემოსილი პატივისცემა.

დიდხანს გაგრძელდა რეპეტიცია, მაგრამ ახალგაზრდებს დაღლა არ ეტყობოდათ, ისინი კვლავ ენერგიულად ცეკვავდნენ. ცეკვავდნენ იმისათვის, რომ ხვალ მაყურებლის წინაშე სავსებით მომზადებულნი გამოსულიყვნენ.

ლ. ხუბულური.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ

ამ დღეებში მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ვოროშილოვის სახელობის კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე მაყურებელს უჩვენა ახალი დადგმა პ. ჯაკომეტის დრამა „დამნაშავის ოჯახი“.

სპექტაკლში მთავარ როლს მედიცინის მუშაკი, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ლ. კახიძე (კორადო) ასრულებდა. მის მიერ შექმნილი სახე მართალი და დამაჯერებელია.

როზალიას როლს გულწრფელი სიმართლის გრძნობით განასახიერებს თბილისის მე-8 პოლიკლინიკის ექიმის თანაშემწე ნ. ლებანიძე. იგი სცენაზე პირველად გამოვიდა და პირველი გამოჩენისთანავე მიიპყრო მაყურებლის ყურადღება. ცხოვრებისაგან შეურაცხყოფილი ქალი და უდანაშაულო დამნაშავე სათნო დედა, რომელიც ადგილს ვერ პოულობს სულშემხუთავ გარემოში, ასეთია ნ. ლებანიძის როზალია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მე-5 კურსის სტუდენტის ა. მარგველაშვილის თამაში. მას დაკისრებული ჰქონდა წარმოესახა კეთილშობილი და დარბაისელი ექიმის არიგოპალმიერის სახე. ეს ამოცანა მან კარგად გადაჭრა.

ემას როლში კარგია ნ. ჩაჩავა. მისი თამაში გულწრფელი და დამაჯერებელია.

წარმატება ხვდა მონსნინორის როლში გ. გოგეშვილს. კარგი იყო გ. მამაცაშვილი დონ ფერნანდოს როლში. დანარჩენ შემსრულებელთაგან გამოირჩეოდნენ ტ. ერისთავი (აგატა) და გ. კალანდაძე (გაეტანი).

სპექტაკლი დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა სტალინური პრემიის ლაურეატმა პიერ კობახიძემ.

ვოროშილოვის სახელობის კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივის მიერ „დამნაშავის ოჯახის“ დადგმა მოსახალმებელია.

ბ. მესხი.

სურათზე: სპექტაკლი „დამნაშავის ოჯახი“. სცენა მე-4 მოქმედებიდან.

ფოტო შ. გოქაძისა.

არაკეთილსინდისიერი გზით

ეს ამბავი ორი წლის წინათ დაიწყო. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ ჭიათურიდან სიგნალი მიიღო. მოქ. ვ. გაფრინდაშვილი რედაქციას აუწყებდა სოფელ მღვიმევში მცხოვრებ ვალიკო დავითის-ძე გაფრინდაშვილის დანაშაულობათა შესახებ. რედაქციამ მამხილებელი წერილი გამოსარკვევად გადაუგზავნა ჭიათურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს.

რაისაბჭოს აღმასკომმა სიგნალი მართალად შეგვიანებით, მაგრამ ძირითადად მაინც ობიექტურად შეამოწმა. გასული წლის 23 ივნისის თარიღით კორესპონდენციის ავტორმა რედაქციიდან მიიღო პასუხი: „თქვენს წერილთან დაკავშირებით ჭიათურის რაისაბჭოს აღმასკომი გვატყობინებს: რჩევა მიეცა ორივე მხარეს მიმართონ სახალხო სასამართლოს. შემოწმებით დადგინდა, რომ პენსია ვალიკო გაფრინდაშვილს დანიშნული აქვს არასწორი სიბუთების წარდგენით. მასალები არასწორი ცნობების გამცემთა პასუხისგებაში მისაცემად გადაეგზავნა ჭიათურის რაიონის პროკურატურას“.

დრო გადიოდა, პროკურატურა საქმის გამოძიებას აგვიანებდა.

გასული წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვასილ და გიორგი გაფრინდაშვილებმა კვლავ მიმართეს განცხადებით ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურამ მათი განცხადება 1956 წლის 17 ოქტომბერს ჭიათურის რაიონის პროკურორს ამხ. შ. მიროტაძეს გადაუგზავნა შესამოწმებლად და ზომების მისაღებად.

ძნელია ითქვას, თუ რამდენად გულდასმით შეისწავლა პროკურატურამ ეს საკითხი, მაგრამ ერთი კი ნათელია: არ გაერკვნენ ერთმანეთის საწინააღმდეგო ოფიციალური ცნობების სიყალბეში, არაფერი ჰკითხეს განცხადების ავტორებს და ფაქტიურად საკითხი კვლავ დუმთაღრებელი დარჩა.

გავიდა ერთი თვე. 20 ნოემბრის თარიღით მოქ. ვასილ და გიორგი გაფრინდაშვილებმა ასეთი მიმართვა მიიღეს: „თქვენი განცხადებების თანახმად (რომლებიც შეტანილი გქონდათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში) გაცნობებთ, რომ მათში მოყვანილი ფაქტების შემოწმების შედეგად ასეთების სინამდვილე არ დადასტურდა. საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი მ/ა იუსტ. უმაროსი მრჩეველი შ. ჭინტურია“.

ამასთანავე რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე წლის 5 იანვარს მიიღო პროკურატურის განკარგულება: „ვალიკო გაფრინდაშვილის მიმართ საქმე არ აღძრულა დანაშაულის უქონლობის გამო. გაეცით პენსია, რომელიც შეჩერებული იყო“. ამ „გამარჯვებით“ ვალიკო გაფრინდაშვილი წელში გაიმართა, გადიდგულდა, პოზა შეიცვალა და კორესპონდენციების ავტორებს მუქარა დაუწყო.

ასე შეტრიალდა სიგნალის სწორად დაწყებული შემოწმებისა და მისი ავტორების ბედი.

„ცილისმწამებლებმა“ კვლავ „კომუნისტის“ რედაქციას მიმართეს, და აი რა გამოირკვა ბოლო შემოწმებით: ვალიკო გაფრინდაშვილს 1948 წელს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში წარუდგენია ორი ცნობა, რომელთა თანახმად მას თითქოს მაღაროში, მიწის ყვეშ მუშაობდა 1926 წლიდან 1941 წლამდე, ხოლო შემდეგ 1942 წლიდან 1948 წლამდე, და ამის საფუძველზე 1949 წლის თებერვლიდან დაენიშნა პენსია თვეში 398 მანეთის (ახალი გადაანგარიშებით მიიღებდა 524 მანეთს თვეში) რაოდენობით. ცნობებს ხელს აწერენ კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს მაშინდელი დირექტორი ვ. თურქაძე და სამეთაო მმართველი თ. კაპანაძე. საქმე ის არის, რომ ამ ცნობების საფუძველი არც მაღაროს და არც ტრესტის არქივში არა ჩანს და არც გამოჩნდება, რადგან ვალიკო გაფრინდაშვილს აღნიშნულ პერიოდში მაღაროში და ისიც მებიგედ არ უმუშავია.

ამ მაღაროს ძველი მუშა-კომუნისტები, ლენინის ორდენოსნები ბ. ბოჟორიშვილი, პ. ბოყოველი და თვით ვალიკო გაფრინდაშვილის ახლო მეზობლები ადასტურებენ, რომ მას ოცდაათიან წლებში მებიგედ არ უმუშავნია, ჰქონდა ღვინის სავაჭრო, ერთხანს რიონჰესის შენებლობაზე მუშაობდა ათისთავად.

„მეორე ცნობა ეუწყება, რომ ვალიკო გაფრინდაშვილი მებიგედ (მიწის ქვეშ) მუშაობდა 1942 წლიდან. ესეც ხომ მტკნარი სიცრუეა. საქმეში ინახება აგრეთვე ცნობა, რომელიც დათარიღებულია იმავე 1948 წლით და რომელსაც ხელს აწერენ იგივე ვ. თურქაძე და თ. კაპანაძე. ეს ცნობა გვაუწყებს, რომ ვალიკო გაფრინდაშვილი აღნიშნულ პერიოდში მუშაობდა არა მებიგედ, არამედ სახანძრო დაცვაში. საკვირველია, როგორ გაიცა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები?

ამრიგად, გაფრინდაშვილის არაკეთილსინდისიერი მოქმედება ექვს არ იწვევს. მან პასუხი უნდა აგოს.

პ. ჭიოკაძე.

წიგნი და მკითხველი

ჩვენს ქვეყანაში კულტურული რევოლუციის განხორციელებისა და საბჭოთა ადამიანების სულიერი სამყაროს უმაგალითო გამდიდრების შედეგად წიგნი მათი ყოველდღიური მოთხოვნილების საგანი გახდა. ამან გამოიწვია საგამომცემლო საქმის არნახული მასშტაბით განვითარება როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკაში. ამის მაგალითია ჩვენი რესპუბლიკა, სადაც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე გამოიცა 42 ათასზე მეტი სახელწოდების წიგნი 188 მილიონამდე საერთო ტირაჟით, მათ შორის მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა 371 ნაწარმოები 3 მილიონამდე ეგზემპლარის რაოდენობით. მარტო გასულ წელს რესპუბლიკის გამომცემლობებმა გამოუშვეს 1.400-ზე მეტი სახელწოდების წიგნი 12 ათასზე მეტი ტირაჟის რაოდენობით. ეს სასიხარულო და საამაყოა.

მაგრამ ამ ციფრებს იქით არ შეიძლება არ დავინახოთ ჩვენი გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული საწარმოების მუშაობის ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლი. მარტო ის ფაქტი, რომ წიგნით მოვაჭრე ორგანიზაციის — „საქწიგნის“ ქსელში დაგროვდა 3 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების 2 ათასამდე სახელწოდების ძნელად გასასაღებელი და მოძველებული ლიტერატურა, მოწმობს როგორც გამომცემლობებისა და სტამბების, ისე სავაჭრო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას გამოსაცემი ლიტერატურის შერჩევის, პოლიგრაფიული გაფორმებისა და მკითხველამდე მიტანისათვის.

ამჟამად რესპუბლიკაში საგამომცემლო საქმის განვითარების ძირითადი დამაბრკოლებელი მიზეზია პოლიგრაფიული ბაზის შედარებით ჩამორჩენა და ტექნიკურ სიახლითა სუსტად დანერგვა. ორიოდე სტამბის გარდა, მეტი წილი სტამბების ტექნიკური მოწყობილობა თითქმის მოძველებულია, სტამბები დაქუცმაცებულია და მთლიანად პოლიგრაფიული ბაზაც დიდად ჩამორჩება წიგნზე მკითხველის მოთხოვნილების ზრდას. ამას თან ერთვის ისიც, რომ პოლიგრაფიული საწარმოები და გამომცემლობანი ორგანულად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ხოლო მათი მართვის ახლანდელი პრაქტიკის სერიოზული ნაკლოვანებანი იწვევენ უწყებრივი ბარიერების შექმნას, არადამაკმაყოფილებელ მომარაგებას ქაღალდითა და სხვა მასალებით.

გამომცემლობათა და პოლიგრაფიულ საწარმოთა მუშაობაშიც, მსგავსად სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისა, როგორც ეს აღნიშნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმებმა, არსებითი ხასიათის ნაკლია დაგეგმვის მოუწესრიგებლობა, აგრეთვე მათი მართვის მეტისმეტი ცენტრალიზაცია საკავშირო მასშტაბით, რაც, სხვა სიძნელეებთან ერთად, იწვევს ბევრ არასაჭირო ანგარიშგებასა და მიმოწერას.

ძალიან დიდ დაბრკოლებას ქმნის ის, რომ ისეთ დიდ ორგანიზაციას, როგორიც არის სახელმწიფო გამომცემლობა, თავის უშუალო განკარგულებაში არა აქვს არც ერთი სტამბა, რის გამო გამომცემლობისა და სტამბების გეგმები და მუშაობა საკმაოდ შეთანხმებული არ არის ერთმანეთთან. საქმის ინტერესები აუცილებლად მოითხოვს, რომ გამომცემლობებს, მათ შორის კი უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო გამომცემლობას, თავის განკარგულებაში ან მიმაგრებული ჰქონდეთ სტამბები, რომელთა შესაძლებლობის გათვალისწინების საფუძველზე უნდა დგებოდეს მათი ერთიანი გეგმები და გრაფიკები. ეს იქნება ერთ-ერთი ეფექტური ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების კომბინირებას, მის გამსხვილებას და ერთ წარმოებად შეაერთებს ერთიანი ტექნოლოგიურად და ეკონომიურად დაკავშირებულ, ხოლო ამჟამად ხელოვნურად გათიშულ, ორგანიზაციებს — გამომცემლობებსა და სტამბებს.

მეორე ნაკლია ის, რომ რესპუბლიკაში ბევრია საკუთარ საწარმოო ბაზას მოკლებული ან სრულიად პრიმიტიული ბაზის საფუძველზე მომუშავე წვრილი უწყებრივი გამომცემლობა, რომელთაგან ზოგიერთის წლიური პროდუქცია 200-400 თაბახს არ აღემატება, ხოლო საგამომცემლო აპარატი გაბერილია, ამასთან ამ გამომცემლობათა გეგმებში ხშირია პარალელიზმი. მაგალითად, სახელმწიფო გამომცემლობასთან ერთად რესპუბლიკაში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ ლიტერატურას უშვებენ მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტის, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სხვა გამომცემლობანი, მხატვრულ ლიტერატურას—„საბჭოთა მწერალი“, „საბლიტგამი“ და სხვ., სამრეწველო, საოფლო-სამეურნეო და ტექნიკურ ლიტერატურას — „ტექნიკა და შრომა“, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა და სხვ., სასწავლო-პედაგოგიურ ლიტერატურას — განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და მეთოდიური კაბინეტის გამომცემლობანი და ა. შ.

გამოსაცემი ლიტერატურის სახეობათა, სტაბებისა და გამომცემლობათა ასეთი დაქუცმაცება, მათ შორის ხელოვნური ბარიერების შექმნა და ამ საქმისათვის უწყებრივი ხასიათის მიცემა იწვევს როგორც გამომცემლობათა აპარატის გაბერვას და ფინანსურ სიძნელეებს, ისე ავტორების ჩარევას მათს მუშაობაში, აძვირებს წიგნის გამოცემას. გამოცემის გაძვირების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ მთელი რიგი გამომცემლობანი, სტამბები და წიგნით მოვაჭრე ძირითადი ორგანიზაცია — „საქწიგნი“ ამჟამად სხვადასხვა უწყებებს ეკუთვნიან, რაც ბევრ დაბრკოლებას ქმნის წიგნის გამოცემის, მკითხველისათვის მისი მიწოდებისა და პროპაგანდის საქმეში.

ამიტომ, ვფიქრობთ, საქმისათვის ბევრად უკეთესი იქნება რესპუბლიკის წვრილ-წვრილი, დაქსაქსული სტამბების, გამომცემლობებისა და „საქწიგნის“ გამსხვილება-გაერთიანება და მათ ბაზაზე ერთიანი საგამომცემლო ორგანიზაციის შექმნა, ანდა, თუ წიგნის გამოცემისა და ვაჭრობის საქმე ცალცალკე დარჩება, მაშინ სტამბების გამსხვილება, გამომცემლობების გაერთიანება, მათი აპარატის ბაზაზე ცენტრალური სახელმწიფო გამომცემლობის შექმნა, მისთვის დიდი სტამბების გადაცემა და მის შიგნით სათანადო დარგობრივი რედაქციების ჩამოყალიბება.

ასეთი ერთიანი გამომცემლობა, რომლის საწარმოო ბაზა იქნება თბილისის რამდენიმე გამსხვილებული სტამბა, საგამომცემლო საქმის მხრივ მოემსახურება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების თითქმის ყველა დარგს. რასაკვირველია, ერთიანი ცენტრალური სახელმწიფო გამომცემლობის შექმნა სრულიად არ გულისხმობს ისეთ გამომცემლობათა და მათი საწარმოო ბაზის გადაცემას ამ ახალი ორგანიზაციის სისტემაში, როგორიც არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის, მეცნიერებათა აკადემიის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზოგი სხვა სპეციალიზებული გამომცემლობები, რომლებიც აუცილებლად უნდა არსებობდნენ და განმტკიცებულ იქნან.

თუ ამ ღონისძიებათა განხორციელება გაძნელდება, მაშინ აუცილებელია მოხდეს გამომცემლობათა გამსხვილება მაინც და თბილისში ამჟამად არსებული ათზე მეტი გამომცემლობის ნაცვლად შეიქმნას 2-3 დიდი გამომცემლობა, დაზუსტდეს მათი პროფილი, გაიმიჯნოს ფუნქციები და თვითეულ მათგანს მიეჩინოს საკუთარი საწარმოო ბაზა, ხოლო მინისტრთა საბჭოსთან არსებობდეს პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა კომიტეტი ან სამმართველო რესპუბლიკის ყველა გამომცემლობის და „საქწიგნის“ მუშაობის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობისათვის.

გამომცემლობათა გამსხვილების საფუძველი უნდა იყოს თვით პოლიგრაფიულ საწარმოთა გამსხვილება, მათი სპეციალიზაციისა და ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, აგრეთვე 1-2 ახალი პოლიგრაფკომბინატის შექმნა, რაც საჭიროა იმიტომაც, რომ უახლოეს წლებში მოსალოდნელია სასკოლო სახელმძღვანელოების ტირაჟის გადიდება 1,5-2 მილიონით მაინც, რაც თუ ახლანდელი საწარმოო ბაზა გადაჭრით არ გაფართოვდა, გამოიწვევს სხვა სახის ლიტერატურის გამოცემის მკვეთრად შემცირებას. აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: ვინაიდან დღემდე მიღწეული არ არის სასკოლო სახელმძღვანელოების სათანადო სტაბილობა, სახელმწიფო გამომცემლობას უნდა მათი ყოველწლიურად გამოშვება, რაც რესპუბლიკას დიდ ტვირთად აწვება. საჭიროა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს და მიაღწიოს იმას, რომ სახელმძღვანელოების მოცულობა კიდევ უფრო შემცირდეს, მათი ძირითადი ნაწილი სტაბილური იყოს და 2-3 წლის განმავლობაში მაინც გამოდგეს სახმარად. ამით რესპუბლიკის ბიუჯეტი რამდენიმე მილიონი მანეთის ეკონომიას მიიღებს.

მოსაგვარებელია მოქმედი საავტორო ჰონორარის ნიხრისა და ძირითადი ტირაჟების ნორმების, აგრეთვე მოსამზადებელი გეგმის დაფინანსების საკითხები.

მეტი ზრუნვაა საჭირო პოლიგრაფიისა და გამომცემლობის მუშაკთა (ასოთამწყობები, ბეჭდავები, რედაქტორები, მხატვრები, კორექტორები და სხვ.) ახალი კადრების აღზრდისთვისაც ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ მიზნით აუცილებელია უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების, აგრეთვე სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროფილში შეტანილ იქნას სარედაქციო-საგამომცემლო საქმისა და პოლიგრაფიის საფუძვლების სწავლება შესაბამისი კონკრეტიზაციით, ხოლო პოლიგრაფიული წარმოების კადრების მოსამზადებლად გადაკეთდეს თბილისის პოლიგრაფსკოლა პოლიგრაფიულ ტექნიკუმად, დაკომპლექტდეს ის სამუალო განათლების მქონე ახალგაზრდებით და მიეცეს მას ახალი ტექნიკით აღჭურვილი სათანადო საწარმოო ბაზა.

მართალია, საგამომცემლო საქმე ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლების, კერძოდ კი ქართული ლიტერატურის კლასიკოსების თხზულებათა ასე თუ ისე სრული კრებულების გამოცემა დღემდე ვერ განხორციელდა, მკითხველი კი ასეთ გამოცემებს მოელის.

ქართულ წიგნს, მისი გამოცემის საქმეს მდიდარი ტრადიცია აქვს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეს საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგა და უმაგალითო გაქანება მიიღო. მაგრამ როგორც ყოველ წამოწყებას, უდიდესი მასშტაბით რომ ჩაღდება და სწრაფად იზრდება, ისე წიგნის გამოცემისა და მკითხველთან მისი მიტანის საქმესაც აქვს თავისი ზრდის სიძნელენი და დაბრკოლებანი, რომელთა გადალახვა ჩვენი უპირველესი ამოცანაა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პოლიგრაფიისა და გამომცემლობის დარგის მუშაკები წარმატებით დაძლევენ ამ დაბრკოლებებს და ახალი მიღწევებით შეხვდებიან თბილისის პირველ ქართულ სტამბაში პირველი ქართული წიგნის გამოსვლის 250 წლისთავს, რომელიც 1959 წელს სრულდება.

ვ. მგალობლიშვილი,
საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი.

ჭასუხი შეკითხვაზე

რას გულისხმობს „ვაკუუმის თეორია"

ი. კვარაცხელიას, ს. სიდოროკულოს, ზ. მეტრეველის (გულრიფში), კ. გვასალიას (ხობი) შეკითხვა

სიტყვა „ვაკუუმი" ლათინური წარმოშობისაა და სიცარიელეს, ცარიელ სივრცეს ნიშნავს. „ეიზენჰაუერის დოქტრინა" „ვაკუუმად" გულისხმობს სიცარიელეს, რომელიც, თითქოს წარმოიშვა ან წარმოიშობა აფრიკის ქვეყნებში ამ ქვეყნებიდან ინგლისელი და ფრანგი კოლონიზატორების გაძევების შედეგად.

ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ თვითონ შეავსონ ასეთი „ვაკუუმი". ისინი აცხადებენ: თუ ერთი იმპერიალისტური სახელმწიფო იძულებული გახდა წასულიყო, მის ადგილზე მეორე უნდა მივადგესო. ამით გამოხატავენ მისწრაფებას — შეაჩერონ დრამოკმული კოლონიური სისტემის რღვევა, ხელი შეუშალონ ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, არ დაუშვან დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნა.

„ვაკუუმის თეორია" ახალი როდია. „ეიზენჰაუერის დოქტრინის" ჩასახვამდე დიდი ხნით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ფოსტერ დალესმა თავის წიგნში „ომი თუ მშვიდობა" შეიტანა ორი თავი: „ეკონომიური ვაკუუმის შესახებ" და „სამხედრო ვაკუუმის შესახებ". იგი აცხადებს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის აგრესიული ბლოკი წარმოადგენს იმ „სამხედრო ვაკუუმის" შევსებას, რომელიც დასავლეთ ევროპაში შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შედეგად. ასეთივე „ვაკუუმის" წარმოშობის საშიშროებით ხსნიან ამერიკელი იმპერიალისტები იმას, რომ თავიანთი შეიარაღებული ძალები არ გაპყავთ იაპონიიდან.

„ეკონომიური ვაკუუმის" შესახებ ლაყბობით ახალი მოდის კოლონიზატორები თავიანთ მგლურ ბუნებას ნიღბავენ და ცხვრის ქურქში ეხვევიან, თითქოს დიდ ქველმოქმედებასა და მზრუნველობას იჩენენ სუსტად განვითარებული ქვეყნების მიმართ. მაგრამ რა ქველმოქმედებასა და დახმარებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ამ ქვეყნების სიმდიდრესა და ხალხებს სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ. აი ამერიკელი მონოპოლისტები ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს ჰპირდებიან, რომ მომდევნო ორ წელიწადში მისცემენ რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს „დახმარების" სახით. მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ დახმარებას, როცა მხოლოდ 1955 წელს ამერიკისა და ინგლისის ნავთის მონოპოლიებმა ამ ქვეყნებში 1.850 მილიონი დოლარი სუფთა მოგება მიიღეს.

შემთხვევითი როდია, რომ ამერიკელი იმპერიალისტები კოლონიური სისტემის სწრაფი რღვევის ვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ აფრიკას. აფრიკა იძლევა კაპიტალისტურ სამყაროში ალმასის მოპოვების 38 პროცენტს, კობალტის 80 პროცენტს, ოქროს 56 პროცენტს, მარგანეცის 36 პროცენტს, სპილენძის 27 პროცენტს. აქ მოიპოვება ურანის დიდი მარაგი, რასაც ესოდენ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ატომის ეპოქაში. ის რატომ იყო, რომ აფრიკაში სპეციალური დავალებით იმოგზაურა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა და თავისი მოხსენება წარუდგინა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს. მოხსენებაში იგი გატაცებით აღნიშნავს: „უზრუნველყო კონტროლი აფრიკისადმი, ნიშნავს უზრუნველყო კონტროლი მსოფლიოსადმი".

ამერიკელი ჟურნალისტი დ. განტერი, შეუნიღბავად გამოხატავს რა მონოპოლისტთა ინტერესებს, წერს: „აზიის დიდი ნაწილი დაკარგულია. დარჩა აფრიკა. მაგრამ აფრიკა ფართოდ გადაშლილია როგორც ვაკუუმი, და იგი თითქმის მთლიანად დაუცველია — ეს ყველაზე მდიდარი დავლა დედამიწაზე". სწორედ აფრიკის სიმდიდრე აინტერესებთ ამერიკელ მონოპოლისტებს და არა აფრიკის ხალხთა ბედი. ისინი არათუ აფრიკის ქვეყნებზე არ ზრუნავენ, მოკავშირე ინგლისსა და საფრანგეთსაც არ ინდობენ. ასეთია მონოპოლისტური კაპიტალიზმის მგლური ბუნება.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე უილიამ რიუნტრი გარკვევით აღნიშნავს, რომ ამერიკელებს აფრიკა აინტერესებთ სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით. ამ დაინტერესებამ გამოხატულება ჰპოვა „ეიზენჰაუერის დოქტრინის" სახით, დოქტრინისა, რომელიც მიზნად ისახავს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების დამორჩილებას, ამ ქვეყნებში განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას და კოლონიური რეჟიმის შენარჩუნებას.

გამოდიან რა დრამოკმული კოლონიური რეჟიმის დამცველთა და თვით კოლონიზატორთა როლში, ამერიკელი მონოპოლისტები გაჰყვირიან რაღაც „კომუნისტური აგრესიის" საშიშროების შესახებ, საბჭოთა ქვეყნის არარსებული იმპერიალისტური გეგმების შესახებ. ამით უნდათ დააშინონ მშვიდობისმოყვარე ხალხები, გაამართლონ გამალებული შეიარაღებისა და საომარი მზადების პოლიტიკა, „ცივი ომის" პოლიტიკა.

მაგრამ ახლა უკვე ძნელია ხალხების შეცდომაში შეყვანა, ძნელია დაარწმუნო კაცი, რომელმაც მზის შუქი იხილა, რომ წყვდიადი სჯობს სინათლეს. აი რატომ არის, რომ ეგვიპტის გაზეთი „ალგუმჰურია" აღნიშნავს: „არაბებს არ შეუძლიათ ირწმუნონ საშიშროების არსებობა იმ ქვეყნების მხრივ, რომლებსაც კონტროლს უწევს საერთაშორისო კომუნიზმი". ასეთი საშიშროების არსებობა იმპერიალისტთა მონაპოვრია. ხომ ცნობილია, რომ ეგვიპტელ ქალებსა და ბავშვებს უმოწყალოდ ხოცავდნენ იმ ქვეყნების შეიარაღებული ძალები, რომლებიც „საერთაშორისო კომუნიზმის კონტროლს" არ ექვემდებარებიან.

საბჭოთა კავშირმა ბევრი რამ გააკეთა არაბი ხალხის დასაცავად. იგი თანაუგრძნობს თავიანთუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებს განურჩევლად ეროვნებისა, რასისა, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა მარაგისა. გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა გრანდიოზული მიღწევებითა და თვით თავისი არსებობის ფაქტითაც კი აღაფრთოვანებს და მაგალითს აძლევს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებს. ცხადია, ეს არ მოსწონთ კაპიტალისტებს, მაგრამ ჩვენი მოწოდება როდია ვიზრუნოთ იმაზე, თუ რა მოეწონებათ კაპიტალისტებს.

იმპერიალისტური „ვაკუუმის თეორია" აშკარად იწვევს წინააღმდეგობის გამწვავებას თვით კაპიტალისტურ ქვეყნებში. საქმე ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უაღრესად დაინტერესებული არიან ინგლისელ და ფრანგ კოლონიზატორთა განდევნით კოლონიური სამფლობელოებიდან. ცნობილია, თუ რა ოსტატურად მოქმედებდნენ ამერიკელი დიპლომატები ირანში ინგლისელების წინააღმდეგ. ამერიკელმა მონოპოლისტებმა მხარი არ დაუჭირეს ინგლის-საფრანგეთისა და ისრაელის აგრესიას ეგვიპტეში. ეს ეგვიპტელი ხალხის სიყვარულით როდი იყო გამოწვეული. ინგლისელი და ფრანგი კოლონიზატორების გაძევება მდიდარი სამფლობელოებიდან ხელს აძლევს ამერიკელებს, რადგან ისინი ცდილობენ თვითონ გაბატონდნენ ამ სამფლობელოებში. ამისათვის ესაჭიროებათ „ვაკუუმის თეორია", ამ მიზანს ისახავს ეგრეთწოდებული „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა".

ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი მოქმედება დიდ უკმაყოფილებას იწვევს მის უმცროს პარტნიორებში. ამას წინათ ინგლისის ბურჟუაზიული ორგანო „ეკონომისტი" წერდა: „ევროპაში ვაშინგტონს განზრახული აქვს მხარი დაუჭიროს ინგლისთან და ჩრდილოეთ ატლანტიკის სხვა ქვეყნებთან კავშირის პოლიტიკას, მაშინ როცა ახლო აღმოსავლეთში იგი აბორიგენებს სეპარატიულ პოლიტიკას, ევროპის ქვეყნებისაგან დამოუკიდებელს და მათთვის გვერდის ავლით". ინგლისის თავდაცვის მინისტრმა დანკენ სენდისმაც კი აღნიშნა, რომ ის პოზიცია, რომელიც უკანასკნელ ხანებში ამერიკის შეერთებულ შტატებს ინგლისთან დამოკიდებულებაში უჭირავთ, აღმაშფოთებელია.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა მიზანს ისახავს „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა" და რა „სიკეთეს" განუმზადებს იგი მცირე ერებს, შეიძლება გავიხსენოთ იორდანიის ამბები. თვით ამერიკელმა მონოპოლისტებმა იორდანიის ამბებს ამ დოქტრინის პირველი გამოცდა უწოდეს. იორდანიის მაგალითმა ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აშკარად ძალით ერევიან ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეებში, მიზნად ისახავენ ამ ქვეყნების კოლონიურ დამონებას, ხალხთა ექსპლოატაციას.

ამერიკელ მონოპოლისტთა სურვილსა და რეალურ შესაძლებლობას შორის დიდი ზღვარია. ვერავითარი დოქტრინა, ვერავითარი „ვაკუუმის თეორია" ვერ შეაჩერებს იმპერიალიზმის დრომოჭმული კოლონიური სისტემის რღვევის პროცესს. მომავალი დამოუკიდებელ, თავისუფალ, მშვიდობისმოყვარე ხალხებს ეკუთვნით.

აკ. ჩავლეიშვილი.

ჩინეთის პრესა ა. ა. გრომიკოს განცხადების შესახებ

პეკინი, 26 ივნისი. (საკდესი). დღეს ყველა ჩინური გაზეთი ათავსებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადებას 25 ივნისს პრეს-კონფერენციაზე მოსკოვში.

„გრომიკო ვმობს შეერთებულ შტატებს არაგულწრფელობისათვის განიარაღების შესახებ და აღნიშნავს, რომ ნორსტადი მოუწოდებს ომისაკენ, რათა გაძლიეროს საერთაშორისო დაძაბულობა", — წერს ამ ცნობის სათაურში გაზეთი „ჟენმინჟიბაო".

„ეფარებიან რა მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატები ისწრაფვიან გააძლიერონ გამალებული შეიარაღება", — ხაზგასმით აღნიშნავს „ბეიძინჟიბაო". „განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში შეერთებული შტატების მონაწილეობა შირმა ხომ არ არის", — კითხულობს „ჯუნგოციინიბაო".

ჩინური პრესა ა. ა. გრომიკოს განცხადებაში გამოჰყოფს იმ ადგილებს, სადაც აღნიშნულია, რომ გამოჩნდა საერთაშორისო ვითარებაში დაძაბულობის შენელების გარკვეული ნიშნები და შესაძლებლობა მიღწეულ იქნას შეთანხმება ნაწილობრივ ღონისძიებებზე განიარაღების დარგში.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 26 ივნისი. (საკდესი). დღეს გაიმართა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მორიგი პრეს-კონფერენცია. პრეზიდენტისათვის მიცემული კითხვები მოწმობდნენ, რომ ამერიკის საზოგადოებრიობას განსაკუთრებით დიდად აინტერესებს ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის პრობლემა, იგრეთვე მოწმობდნენ შეშფოთებას, რაც ამ საკითხზე თვით ეიზენჰაუერის, თეთრი სახლისა და დალესის ახლეულმა განცხადებებმა გამოიწვია.

როცა პრეზიდენტს სთხოვეს ჩამოეყალიბებინა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მან იმის საწინააღმდეგოდ, რაც წარსულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, თქვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე შეიტანეს წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ განსაზღვრული ვადით გამოცდის შეწყვეტას, როგორც განიარაღებაში ეგრეთწოდებული პირველი ნაბიჯის გაუუყოფელ ნაწილს. ეს ნაბიჯი, დასძინა პრეზიდენტმა, შეიცავს აგრეთვე შეთანხმებას სამხედრო მიზნებით ატომური მასალების წარმოების შეწყვეტის შესახებ, ჩვეულებრივი შეიარაღების ერთგვარ თავდაპირველ შემცირებას და, რა თქმა უნდა, ინსპექციისა და კონტროლის სისტემას.

გამოცდის შეწყვეტის საკითხს, პრეზიდენტის სიტყვით, აქვს მეორე მხარეც. იგი დაკავშირებულია იმასთან, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი მეცნიერები თითქოს აწარმოებენ ეგრეთწოდებულ „სუფთა" ბომბს (ე. ი. ნაკლები რადიაქტიური ნალექები). ეს მეცნიერები, განაგრძო ეიზენჰაუერმა, მეუბნებიან: მოგვეცით შესაძლებლობა გავაგრძელოთ ჩვენი მუშაობა 4-5 წლის განმავლობაში და ჩვენ აბსოლუტურად სუფთა ბომბს მივიღებთო.

ეიზენჰაუერის სიტყვით, ეს მეცნიერები ამტკიცებენ, რომ თერმოატომგულის იარაღის გამოცდა თითქოს საჭიროა ხლიჩადი მასალების შემდგომი გამოყენებისათვის მშვიდობიანი მიზნით (?!). იმოწმებდა რა ასეთ „მოსაზრებებს", ეიზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კისრულობენ გარკვეულ რისკს არაბელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებას გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მაგრამ, განაცხადა მან, ვითვალისწინებთ რა ფსიქოლოგიურ ფაქტორს, სახელდობრ საყოველთაო შიშს გამოცდის განკრძალულობასთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ უნდა ვიაროთ წინ ამ საკითხზე მოლაპარაკებაში და არავითარი განზრახვა არა გვაქვს უკან დავიხიოთ ჩვენი პოზიციებიდან.

როგორც შემდეგ პრეზიდენტისათვის მიცემული კითხვებიდან ჩანს, კორესპონდენტები უკმაყოფილო დარჩნენ „მოსაზრებებით", რომ საჭიროა განგრძობილ იქნას გამოცდა ეგრეთწოდებული „სუფთა" ბომბების მიღების მიზნით. ეიზენჰაუერს ჰკითხეს, თუ რას გულისხმობს „სუფთა" ბომბად და როგორია იმის გარანტიები, რომ მომავალ ომში „ეუჭკეყიან" ბომბებსაც არ იხმარენ. უპასუხა რა ამ კითხვაზე, პრეზიდენტმა არსებითად ვერ იპოვნა რაიმე დამაჯერებელი სიტყვა „სუფთა" ბომბების შედარებითი უშიშროების დასამტკიცებლად. იგი ამტკიცებდა, რომ ასეთი ბომბები შესაძლებლობას მოგვცემენ შევზღუდოთ ნგრევის რაიონი, მხოლოდ აირჩიეთ ოქიეტეთ.

შემდეგ პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ განიარაღება უნდა მიდიოდეს მცირე ნაბიჯებით, ალბათ, მეტად მცირე ნაბიჯებით, და რომ მან ჯერ არ იცის ზუსტად, რა ხასიათისა იქნება ეს ნაბიჯები.

შეეხო რა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას, რომ მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია დაინტერესებულ მხარეთა ფართო მონაწილეობით, რათა კორეიდან გაყვანილ იქნან უცხოეთის ჯარები და ხელი შეეწყოს კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ არ შეუძლია ამ წინადადებაზე იქონიოს გარკვეული აზრი და დაემყაროს მხოლოდ წინადადების საერთო ფორმულირებებს და რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გაიტანონ მისი კონკრეტული დეტალები.

შემდეგ ეიზენჰაუერს ჰკითხეს, ნიშნავს თუ არა თანხმიდან ამერიკის ჯარების ნაწილობრივი გამოყვანის დაპირება მსოფლიოს სხვა რაიონებიდან ამ ჯარების გამოყვანის დაწყებას. პრეზიდენტმა თქვა, რომ ამ საკითხზე მთავრობაში ჯერ არ არის გარკვეული გეგმა და რომ თავდაცვის სამინისტრო რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობს ამერიკის ფარგლებს გარეთ მყოფი ამერიკის შეერთების ერთგვარი რეორგანიზაციის საკითხზე, რასაც მიზნად აქვს გააძლიეროს ამ შეერთების ცეცხლითი ძლიერება მათი ადამიანთა შემადგენლობის ერთგვარი უმნიშვნელო შემცირების პირობებში. რაც შეეხება თვით შეერთების გამოყვანის რაიმე გეგმას, თქვა პრეზიდენტმა, ასეთი გეგმები არ არსებობს.

უპასუხა რა კითხვებზე, რომლებიც შეეხება ამერიკის საშინაო მდგომარეობას, ეიზენჰაუერმა აღიარა ინფლაციის საფრთხის არსებობა და შეშფოთებით მოიხსენია ფასების სწრაფი ზრდა, რაც შემჩნეულია უკანასკნელ თვეში.

ბელგიელი მუშების საგაფიცვო ბრძოლა

ბრიუსელი, 26 ივნისი. (საკდესი). მეორე კვირაა გრძელდება გაფიცვა ბელგიელი მშენებლებისა და მეტალურგებისა, რომლებიც იბრძვიან ხელფასის გადიდებისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. გაფიცულ მეტალურგთა საერთო რიცხვი ამჟამად 80 ათასზე მეტია; გაფიცულ მშენებელთა რიცხვი 60 ათასს აღემატება.

ბელგიის მეტალურგთა პროფკავშირის აღმასრულებელი კომიტეტის გადწყვეტილების შესაბამისად მეტალურგიული მრეწველობის მუშები ახლა იმისათვის ემზადებიან, რომ 1 ივლისს მეტალურგთა საყოველთაო გაფიცვა გამოცხადონ.

ასეთი საიდუმლო გაუზიარა, რომ თოჯინა ხელიდან გაუვარდა...
ფოტოტიუდი შ. გოქაძისა.

★

ევროპის X ჩემპიონატი

ევროპის X ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობა კალათბურთში ვაეთა გუნდებს შორის მძაფრი ბრძოლით ხასიათდება. ფინალური შეჯიბრების მესამე დღეს, 25 ივნისს, სსრ კავშირის გუნდმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის კალათბურთელთა ნაკრები კოლექტივი ანგარიშით 62:60. დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ბულგარეთი-პოლონეთი 74:69, უნგრეთი-რუმინეთი 76:61, იუგოსლავია-საფრანგეთი 75:72.

დასკვნითი ასპარეზობის სამი წრის შემდეგ დაუმარცხებლად ბრძოლავან სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდები.

საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში

ხარკოვი. 25 ივნისი. აქ გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ ბრაზილიის კლუბი „ბაიასი" და ხარკოვის „ავანგარდის" გუნდები. საინტერესო სპორტული ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0:0.

* * *

უახლოეს დღეებში სსრ კავშირში სტუმრად ჩამოვლენ თურქეთის, ბრაზილიის, ირანისა და სხვა ქვეყნების ფეხბურთელთა გუნდები.

თურქეთის კლუბის „გალატა სარაის" გუნდი 30 ივნისს, 4 და 8 ივლისს შეხვდება მოსკოვის „ლოკომოტივს", თბილისის „დინამოს" და ლენინგრადის „ზენიტს".

საჯარო ლექცია

28 ივნისს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს საზოგადოების წევრის დოკენტ ი. მიქელაძის საჯარო ლექციას თემაზე: „საქართველოს ეკონომიური რაიონის კომპლექსური განვითარების ამოცანები" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VII და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს IV სესიების შედეგებისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლიდან).

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო მიწვევა გაგზავნოს დელეგაცია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ პ. პ. ლობანოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა მიიღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის თავმჯდომარის ც. დუგერსურენის წერილი. ამ წერილში ნათქვამია, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდ სახალხო ხურალს, გულითადად სურს რა უფრო მეტად შეუწყოს ხელი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ხალხთა შორის ძმური ურღვევი მეგობრობის განმტკიცებასა და განვითარებას, პატივი აქვს მიიწვიოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის დეპუტატების დელეგაცია ესტუმროს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას 1957 წლის ივლისის დამდეგს.

პ. პ. ლობანოვმა და ვ. ტ. ლაცისმა თავიანთ საპასუხო წერილში ც. დუგერსურენის სახელზე აცნობეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დიდი მადლობით იღებს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის მიწვევას და ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ მეგობრულ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩასვლა ხელს შეუწყობს საბჭოთა ხალხისა და მონღოლი ხალხის ძმური მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია აპირებს ულან-ბატორში ჩავიდეს 1957 წლის 1-3 ივლისს. (საკდესი).

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევი სანიტარული ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ორდინატორის ერთი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

მიღების პირობები:

1. ორდინატურაში მიიღება ორივე სქესის 35 წლის ასაკამდე (ჩათვლით) სანჰიგიენური ფაკულტეტის კურსდამთავრებული ექიმი, სანეპიდსადგურში მუშაობის სტაჟით არანაკლებ 3 წლისა. ორდინატურაში სწავლის ვადა 2 წელია. მეცადინეობა დაიწყება ა. წ. 1 სექტემბერს.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ნოტარიალურად შემოწმებული პირი დიპლომისა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ, 2. კადრების პირადი აღრიცხვის ფურცელი, დაწვრილებითი ავტობიოგრაფია და ფოტოსურათი, 3. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, 4. სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების დოკუმენტი, 5. საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, გაცემული კონკურსში მონაწილეობისათვის, 6. იმ დაწესებულებებში მომუშავე ექიმთათვის, რომლებიც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს არ ექვემდებარებიან, საჭიროა აქ უწყებათა ხელმძღვანელების წერილობითი ნებართვა.

მსურველთა განცხადებები მიიღება ინსტიტუტის საორგანიზაციო-მეთოდურ სექტორში.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ნ. ვაჩნაძის ქუჩა № 9. ტელეფონი № 3-51-02 3-07-49.

ქ. თბილისის მე-2 **სამედიცინო სასწავლებელი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას I კურსზე 1957-58 სასწავლო წლისათვის.

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს ფერშლის სპეციალობით. სასწავლებელში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე.

I კურსზე (არასრული საშუალო განათლების მქონე მოქალაქეებისათვის) სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი) უგამოცდოდ ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, დანარჩენები კი აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი). მათემატიკაში (ზეპირი).

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები აკადემიური წარმატების მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

სასწავლებელთან გახსნილია საღამოს განყოფილება (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი). სადაც მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი ასაკის მიუხედავად. რომლებიც მუშაობენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საშუალო სამედიცინო პერსონალის მუშაკებად, აქვთ მუშაობის ორი წლის სტაჟი და არა აქვთ სრული საშუალო სამედიცინო განათლება. საღამოს განყოფილებაზე უგამოცდოდ მიიღებიან: ორწლიანი სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებულები, არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები. დანარჩენები აბარებენ მისაღებ გამოცდებს ზემოხსენებული I კურსის საგამოცდო საგნების მიხედვით.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი). ავტობიოგრაფია, დაბადების მოწმობა, სამი ფოტოსურათი (3×4), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან და ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობისა და სტაჟის ჩვენებით (საღამოს განყოფილებაზე შემსვლელთათვის).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 5/VIII-დან 20/VIII-მდე.

სასწავლებლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, მოხვედრილნი გამოშვების 5%-ში, სარგებლობენ სამედიცინო ინსტიტუტში უგამოცდოდ შესვლის უფლებით.

მისამართი: ქ. თბილისი. პეტრიაშვილის ქ. № 3, ტელეფონი № 3-51-47.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1957 წლის 28 და 29 ივნისს
საქართველოს ახალგაზრდობის პირველი ფესტივალის სალაურეატო კონკურსის დასკვნითი კონცერტები.
28 ივნისს საღამოს — დასაწყისი 8 საათზე. 28 და 29 ივნისს დღისით — დასაწყისი დილის 11 საათზე. ბილეთები იყიდება.

დღეს
თბილისის თეატრებში
რუსთაველის სახელობის — ბორის გოდუნოვი, **მარჯანიშვილის სახელობის** — მკაცრი ქალიშვილები, **გრიბოედოვის სახელობის** — ფილუმენა მარტურანო, **სომხური დრამის** — (კროვბადის ჯაბარლის სახელობის თეატრის გასტროლები) — ვაგიფი, **ფილარმონია** — მოღვაწეთის საესტრადო ორკესტრის კონცერტი (საზაფხულო თეატრი, 9 ს.).
კინოთეატრებში
რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზაფხოო და საზაფხულო), **სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** — მას უყვარხარ, **ამირანი** (საზამთრო) — ალია მურომეცი, **თბილისი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი, კროვისა და ორჯონიკიძის სახელობის პარკები, ვაკის პარკი** — გაზაფხულზე, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — მოგზაურობა ახალგაზრდობაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველო და ცენტრალური სახელმწიფო არქივები იუწყებიან
ნოე ივანეს-ძე თედორაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-VI, 3 ს. ბორჯომ-ბაღში.

თბილისის სამხატვრო აკადემია აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1957-58 სასწავლო წლისათვის, ფერწერისა და ქანდაკების ფაკულტეტსა (განყოფილებები: ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და კერამიკისა) და არქიტექტურის ფაკულტეტზე.

აკადემიაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ საშუალო საერთო განათლება, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი ფრიადოსნის ატესტატით, ჩარიცხულნი აღნიშნული სასწავლებლის გამოშვების 5%-ში. დირექტორის სახელზე განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: ავტობიოგრაფია, საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), პასპორტი (წარმოადგენს პირადად), 3 ფოტოსურათი (უქუდოდ) ზომით 3×4 სმ, სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედროვალდებულისაგან) ან მიწერის მოწმობა (თუ გასაწვევი ასაკისაა) წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად, და ნამუშევრები სპეციალურ საგნში, ცნობა მუშაობის ადგილიდან მუშაობის სტაჟისა და თანამდებობის აღნიშვნით, დაწესებულების ხელმძღვანელისა და კადრების განყოფილების უფროსის ხელმოწერილი (მომუშავეთათვის), ჯანმრთელობის ცნობა არსებული ფორმის მიხედვით, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს:

ა) ფერწერისა და ქანდაკების ფაკულტეტზე:

ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და კერამიკის განყოფილებებზე სპეციალურ საგნებში, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ბ) არქიტექტურის ფაკულტეტზე: სპეციალურ საგნებში (ფერწერა, ხატვა), მათემატიკაში, ფიზიკაში, ხაზვაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

საერთო განათლების დისციპლინებში გამოცდას არ აბარებენ ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით, ან საშუალო სამხატვრო სასწავლებელი ფრიადოსნის ატესტატით და ჩარიცხული არიან გამოშვების 5%-ში; სამამულო ომის მონაწილენი, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ფრიადოსნის ატესტატით.

სპეციალურ დისციპლინებში მისაღები გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა ყველასათვის. იგი იწარმოებს ახალი წესის მიხედვით.

განცხადებები მიიღება 30 ივლისამდე 9 საათიდან 18 საათამდე.

მისაღები გამოცდები ა. წ. 1 აგვისტოდან დილის 9 ს. აკადემიის მისამართი: ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 22.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

ფილტვების ტუბერკულოზის განყოფილების გამგე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1, ფილტვების ქირურგიული განყოფილების გამგე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1, უროლოგიური განყოფილების გამგე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1, კანის განყოფილების გამგე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1. უფროსი მეცნიერი მუშაკი ძვალსახსრის ტუბერკულოზში — მედიც